# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 27 ივნისი 1998 №103 (638) ფასი 50 თეთრი




## სიეტლ სუპერსონიქსმა ვლადიმერ სტეფანია აირჩია!

სონიქსის ვიცე-პრეზიდენტის ბილი მაკკინის აზრით, სტეფანია ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი კალთბურთელია, ვინც კი მას უნახავს

სიეტლში უკვირთ, რომ სტეფანია აქამდე არავინ აიყვანა

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# არგენტინა — ხორვატია 1:0

# იაპონია — იამაიკა 1:2

# რუმინეთი — ტუნისი 1:1

# კოლუმბია — ინგლისი 0:2

## ირანელები გვემუქრებიან

ემზარ ზენაიშვილი
პარიზიდან



ერნესტ ჰემინგუეიმ პარიზს მარადიული დღესასწაული უწოდა, მაგრამ მილიონობით პარიზელისა და პარიზის სტუმრისთვის ფეხბურთიც ხომ დღესასწაულია. ახლა საფრანგეთის დედაქალაქში ორმაგი დღესასწაულია — მარადიული — პარიზი და 33-დღიანი — დიდი ფეხბურთი!

იხილეთ მეათე გვერდი

**ექსპერტის კომენტარი** *ვლადიმერ პანოვი*
*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



## ვაი, ამათ პატრონს!

ძალიან აღშფოთებული ვარ რუმინელთა ვითომ ოინბაზობით. რას ჰგავდნენ, ვაი, ამათ პატრონს! ყველა ფეხბურთელს როგორ შეუღებავს თმა. მე რომ მათი მწვრთნელი ვყოფილიყავი, ამ იდეის ავტორს სულ გავაგდებდი გუნდიდან. ასეთი დონის ფეხბურთელები არიან, ნეტავ არა რცხვენიათ? გუშინ ამათი ბოლო გაფართხალება იყო. ხორვატია რუმინელებს, მგონი, კუდით ქვას ასროლინებს. აი, თუ თმებს ჩვეულ ფერს დაუბრუნებენ, მაშინ კი შეიძლება, ცოტა გაუძნელონ ხორვატებს მოგება. ეს ისე, ხუმრობით, თორემ ხომ გითხარით, ხორვატია რუმინეთზე ძლიერ გუნდად წარმომიდგენია. სამართალი რომ ყოფილიყო, რუმინელებს ტუნისელებისთვის არ უნდა გაეთანაბრებინათ ანგარიში. ტუნისმა იომა და ვფიქრობ, კარიც გაიჯახუნა.

რაც შეეხება სხვა მერვედფინალს, დანარჩენებთან შედარებით არგენტინა — ინგლისი ყველაზე სანახაობრივი იქნება. ძალიან დაძაბული მატჩი გველის. მით უმეტეს, რომ ინგლისმა თავისი სახე დაიბრუნა, ფერზე მოვიდა. ამოისუნთქა რუმიენელებთან საშინელი თამაშის შემდეგ. შანსები თითქმის თანაბარია. ჰა, ჰა, მცირე უპირატესობას არგენტინას თუ მივანიჭებთ.

დანარჩენებზე კი ერთს გეტყვით. ალბათ, აჯობებდა, ყოვლად უსუსური გუნდების ნაცვლად საფრანგეთში რუსეთს, უკრაინას, საქართველოს, შვეიცარიას, შვედეთს ეთამაშათ. ხომ უეჭველია, იამაიკაზე, იაპონიაზე და სხვა მათნაირ ნაკრებებზე უკეთ რომ ითამაშებდნენ, ან ვითამაშებდით. იამაიკელებს უჯობთ, პალმების ქვეშ იცეკვონ, იაპონელებმა ტექნიკის სასწაულებით გაგვაოცონ, სხვებმაც თავიანთი საქმე აკეთონ, ფეხბურთთან მათ საერთო არაფერი აქვთ.



REUTERS ლანსიდან

ფარიდ მონდრაგონი (№22) დარენ ანდერტონს და დევიდ ბექემს ვერ გაუმკლავდა, თორემ პოლ სქოულზს (№16) არ გაატანინა

**G ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ტუნისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

**H ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| იამაიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

## მერვედფინალი

დღეს

**იტალია — ნორვეგია**
მარსელი. $18^{30}$

**ბრაზილია — ჩილე**
პარიზი. $23^{00}$

28 ივნისი, კვირა

**საფრანგეთი — პარაგვაი**
ლანსი. $18^{30}$

**დანია — ნიგერია**
სენ დენი. $23^{00}$

29 ივნისი, ორშაბათი

**გერმანია — მექსიკა**
მონპელიე. $18^{30}$

**ჰოლანდია — იუგოსლავია**
ტულუზი. $23^{00}$

30 ივნისი, სამშაბათი

**რუმინეთი — ხორვატია**
ბორდო. $18^{30}$

**არგენტინა — ინგლისი**
სენტ ეტიენი. $23^{00}$

# ზოგჯერ განსაცდელიც მარგებელია

მატჩი №48. 26 ივნისი. ლანსი. სტად ფელიქს ბოლერი. 41 275 მაყურებელი

## კოლუმბია 0:2 ინგლისი

0:1 ანდერტონი (20); 0:2 ბექემი (30)

დღეს სიკვდილის მატჩი ჩატარდება, არანაირი ვიდეოჩანაწერი და ტაქტიკური ანალიზი, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. საქმე ჯიქურ დგას, ისინი ან ჩვენ. იოლი არაფერია ამქვეყნად. დღეს დუელია და მასში გამარჯვების შანსი ორივე მხარეს აქვს — თეთრი ხელთათმანი გადაუგდო კოლუმბიელთა თავკაცმა ერნან გომესმა ინგლისელ კოლეგა გლენ ჰოდლს.

რაღა დაგიმალოთ და, გვიყვარს, უკან დასახევი გზა რომ აღარ გვაქვს. ეს სწორედ ეს სიტუაციაა, როდესაც ვგრძნობთ, რომ მისია გვაკისრია — ამბობდა ინგლისელთა კაპიტანი ტონი ადამსი.


სოლ კემპბელის (№2) დიდებული გარღვევა ვერც ბერმუდესმა შეაჩერა, მაგრამ...

დუელიანტებს სეკუნდანტები არ ჰყოლიათ, საბრძოლო იარაღიც თავადვე აირჩიეს — გომესმა ლიდერ პრესიადო, ჰოდლმა კი მაიკლ ოუენი.

ორივე ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელმა წინა მატჩში გატანით გამოიჩინა თავი. პრესიადომაც და ოუენმაც შეცვლაზე შესვლის შემდეგ შეძლეს კარის აღება.

პირველად ინგლისმა ისროლა — ოუენის ჩაწოდება ბერმუდესმა უხეიროდ მოიგერია, დარენ ანდერტონმა კი, ბურთი მოიგდო თუ არა, ახლო, მონდრაგონისგან თითქოსდა საიმედოდ დაცულ კუთხეში, როგორც ტყვია ტყვიაში, ისე ჩასვა.

ინგლისმა პირველმა ისროლა და მიზნისთვის არ აუცდენია, ანდერტონის გოლმა სასიკვდილოდ დაჭრა სამხრეთამერიკელი მეტოქე. და თქვენ გგონიათ, კოლუმბია ასე უსახელოდ მიცვალებას აპირებდა? არა, სულთმობრძავმა პირისპირ მდგარ ინგლისს აირალი მოუღერა, მაგრამ თვალები დაენისლა, ძალაგამოცლილი ხელი კი აუკანკალდა...

და მაშინ იყო, დევიდ ბექემმა, ამ „ხელჩაქუჩამ" კოლუმბიელთა კუბოს ბოლო ლურსმანი რომ დააჭედა, დიდოსტატური საჯარიმო დარტყმით გატანილი ბურთი ბექემისთვის საფრანგეთში პირველი, ამ მატჩში კი საბოლოო გოლი გამოდგა.

ამ ბრძოლისთვის მეტოქენი საგანგებოდ ემზადნენ. თავიდან ისე ჩანდა, ეს მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იქნებოდა. ბრძოლა არსებობისთვის, გადარჩენისთვის. ფარით ან ფარზე — წაგებულს ბრძოლის ველიდან წაასვენებდნენ, მოგებული კი საკუთარი ფეხით საპლეიოფო ეტაპზე გაიბიჯებდა.

წინა ტურში რუმინელებთან მარცხით ინგლისმა თავი ხიფათში ჩაიგდო. ტუნისის ძლევით (თუ მოგებათა სერიას გააგრძლებედა) კოლუმბიამ მერვედფინალში გასვლის შანსი დაინარჩუნა. ბრიტანელებს ფრეც ხელს აძლევდათ, ოკეანისგაღმელებს კი მხოლოდ გამარჯვება უსაშველებდათ. ისეთ მატჩში კი, როცა მოგება ერთს უეჭველად სჭირდება, მეორეს კი დასაზღვევად, ზავი ძნელი წარმოსადგენია.

გუშინდელი მეტოქენი არ არიან ყაიმზე მოთამაშენი. მათ ან უნდა მოიგონ, ან წააგონ.

ინგლისი კი გუშინ ვერმოსაგებად მინდორზე გასულს ნამდვილად არ ჰგავდა. თუნდაც იმიტომ, რომ ჰოდლმა ოდენ თავდამცველ ბეტის შემტევი და დიდებული დევიდ ბექემი ამჯობინა. მობერებული შერინგემის ნაცვლად კი ძირითადშივე ვერცხლისწყალივით მოძრავი, სხარტი და მოქნილი, დაუდგრომელი მაიკლ ოუენი ათამაშა.

ოუენმა ვერ გაიტანა, თავი მხოლოდ აქტიური, გონივრული თამაშით დაგვამახსოვრა. არ ჩაუჩოქია, კოლუმბიელი მცველები ამ ფეხმარდი ფორვარდის რაგინდარა გზით შეჩერებას კი ცდილობდნენ, მაგრამ სულ ერთხელ, თუ ორჯერ წაიქცა.

უმრწემეს ინგლისელს იმას თუ დავუწუნებთ, რამდენჯერმე ჭაბუკურად რომ აჩქარდა და მიზანს ააცილა, მაგრამ გუშინ, მოგებულ მატჩში მას ამის უფლება ჰქონდა.

ბექემს ცენტრში, ახალ გაზად სათამაშოდ გლენ ჰოდლი დიდხანს ინახავდაო. თითქოს მართლა სჯობს, მანჩესტერელი მეტოქის ფლანგს აწიოკებდეს, მაგრამ ანდერტონიც რომ კარგია იმ თავის მარჯვენა ფლანგზე.

გუშინ ორივემ გაიტანა, ანდერტონმაც და ბექემმაც. ეს ჰოდლს ორმაგად გაახარებდა. მაგრამ ოუენს რა ბედი ელის? ხომ არ დააბრუნებს მაიკლის მშრალზე დარჩენა ძირითადში შერინგემს? საეჭვოა, ბოლოს და ბოლოს, არც ინგლისია ის გუნდი და არც დრო თუ ადგილი აქვს ახლა საიმისო, შემადგენლობა ყოველ მატჩში ცვალოს. ინგლისი მერვედფინალში არგენტინას გადაეყარა — ისტორიულად რთულ და საშიშ მეტოქეს. მაგრამ სამხრეთამერიკელებს ახლა მარადონა აღარ ჰყავთ. თუმცა, არც ინგლისელებს ჰყავთ გაზა...

სტივ მაკმანამანი კი, აქამდე სათადარიგო სკამიდან რომ ადევნებდა თანაგუნდელთა მოგება-წაგებას თვალს, გუშინ მინდორზეც გამოჩნდა. ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ითამაშა. ეს კი, მგონი, რაღაცას ნიშნავს. ლე სოც ვერაა ბოლო დროს ძველებურ იშტაზე და ეგებ სტივი ჰოდლმა არგენტინასთან შესაჭიდებლად შეამზადა.

ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთი მწითური და ჯარისავით მოტრიალე, პოლ სქოულზი გუშინაც აცილებდა, მაგრამ ინგლისის ძალა იყო.

შირერი კი, აქამდე რომ არც გვიხსენებია, ძველი ალანის აჩრდილია, თუმცა ზოგჯერ ხომ ჩრდილსაც შეუძლია მოციაგეთა გადაფარვა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

### მატჩის შემდეგ

**ერნან გომესი**, კოლუმბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: მართალია, მატჩის შედეგით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ვაჟკაცურად უნდა ვაღიაროთ, რომ ინგლისის ნაკრები დღესდღეობით ჩვენზე ძლიერია. საერთოდ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ჩვენს ჯგუფში ორი აშკარა ფავორიტი — რუმინეთი და ინგლისი ასპარეზობდა და ისინი კოლუმბიასა და ტუნისს ერთი თავით სჯობდნენ. გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი კი მყავს, მაგრამ ნაკრებს აშკარად ეტყობოდა, უდიდესი მნიშვნელობის საერთაშორისო მატჩების გამოციდლება რომ აკლდა, რამაც საბოლოო შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა. მოკლედ, ჩვენ მოსწავლეები ვართ და დაღვინებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია. მატჩის წინ იმ მონახაზებს ვარჩევდით, რომლის მეშვეობითაც ამ საღამოს ბრიტანელთა დაცვა უნდა გაგვერღვია, მაგრამ, როგორც ნახეთ, არაფერი გამოგვივიდა, მეტოქემ გააზრებულად, აუღელვებლად იმოქმედა. მათ თამაშის საშუალება, ფაქტობრივად, მოგვისპეს, ყველა სახიფათო ზონა საიმედოდ ჩაკეტეს. ჩემს ფეხბურთელებს მათი კარის დალაშქვრის არც ერთი მომენტი არ ჰქონიათ, ასეთ გუნდთან ნამდვილად ვერაფერს გავხდებოდით. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ინგლისი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მასთან შეხვედრისას ნებისმიერი მეტოქეს უკიდურესად გაუჭირდება.

**გლენ ჰოდლი**, ინლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩვენ საოცრად ვითამაშეთ. ასეთი ფეხბურთი ინგლისის ნაკრებს კარგა ხანია, არ უჩვენებია. ჯერ კიდევ გასახდელში ყოფნისას ბიჭები ისე იყვნენ შემართულნი, მაშინვე მივხვდი, დღეს გამარჯვების გარდა სხვა შედეგი არ გვეწერა. მართალია, იყო ერთი მომენტი, როდესაც სულ ცოტა ხნით ინიციატივა მეტოქეს დავუთმეთ, მაგრამ მთელი თამაშის განმავლობაში ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ შეხვედრა ჩემი გუნდის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდებოდა. დღეს, ალბათ, ყველა დარწმუნდა ინგლისის ნაკრების სიძლიერეში. ჩვენ მართლაც სწორ გაზაზე ვდგევართ, თუმცა მოთამაშეები არ უნდა გადიდგულდნენ და აღებული კურსიდან არ უნდა გადავუხვიოთ, თორემ უსიამოვნებები არ აგვცდება. ამ საღამოს ჩემი ფეხბურთელებიდან ყველამ საუცხოოდ ითამაშა. ჩემი აზრით, თითოეული ათბალიან სისტემაში რვა და უფრო მეტ შეფასებას იმსახურებდა. გარწმუნებთ, ეს ჯერ კიდევ არ არის ინლისის სრული პოტენციალი. მჯერა, ჩვენ კიდევ მოვუმატებთ. ასე რომ, ნამდვილი ინგლისი თქვენ ჯერ კიდევ არ გინახავთ. რაც შეეხება მაიკ ოუენს, ამ ბიჭს დიდი მომავალი აქვს. თამაშის წინ იგი არაბუნებრივად ღელავდა. მე მასთან მივედი და ვთხოვე, მშვიდად გარჯილიყო და არ ენერვიულა. მართალია, პირველი თხუთმეტი წუთი ოდნავ გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ თავისი თავი იპოვნა და მეტოქეს არაერთი პრობლემა შეუქმნა.

**მაიკ ოუენი**: ეს გახლდათ უდიდესი მატჩი იმათგან, რაც აქამდე ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ჩამიტარებია. თამაში მშვენივრად წარვმართეთ და უკვე დასაწყისშივე ორი ბურთით დავწინაურდით. ეს სოლიდური სხვაობა აღმოჩნდა. ყველანი დავწყნარდით და მატჩი ადვილად მივიყვანეთ სასურველ შედეგამდე. დღეს, ალბათ, ყველამ დაინახა, თუ რა ძლიერი გუნდია ინგლისი. მჯერა, რომ ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოთაგანი ვართ და წლევანდელი ჩემპიონატი მოგებით საფრანგეთის ტრიუმფატორები გავხდებით.



მარცხიანი დუელიდან დაშვებულმა პალასიოსმა (№3) და შირერმა კაპას რეკლამა გაუკეთეს

**კოლუმბია**

22. მონდრაგონი
3. პალასიოსი
5. ბერმუდესი — 8. ლოსანო
6. სერნა
19. რინკონი
13. კაბრერა — 16. მორენო
10. ვალდერამა
21. პრესიადო — 7. დე ავილა

9. შირერი — 20. ოუენი
16. სქოულზი
7. ბექემი
3. ლე სო — 4. ინსი — 14. ანდერტონი
2. კემპბელი — 12. გ. ნევილი
5. ადამსი
1. სიმენი

**ინგლისი**

შეცვლა: **სერნა — 15. არისტასაბალი (46), პრესიადო — 9. ვალენსია (46), დე ავილა — 21. როკარდი (46), სქოულზი — 11. მაკმანამანი (74), ანდერტონი — 17. ლი (79), ინსი — 8. ბეტი (83)**

გაფრთხილება: **სქოულზი, შირერი, სერნა, არისტასაბალი, ბერმუდესი**

მთავარი მსაჯი: **ა. ბ. კარტერი (მექსიკა)**

### მატჩის სტენოგრამა

19 წუთი. შირერის ჩაწოდებული ლე სომ ერთობ უხეიროდ დაარტყა, საკმაოდ კარგი პოზიციიდან ააცილა.

20. ოუენმა მარჯვენა ფლანგზე იბრძოლა, ჩააწოდა, ბერმუდესმა თავით მოიგერია, მაგრამ იქვე გაჩნდა ანდერტონი. მისი უძლიერესად დარტყმული ახლო ცხრიანში შეფრინდა 1:0.

24. ოუენმა უკვე თავად გააცუდა ხელსაყრელი მომენტი.

29. საჯარიმოს კუთხესთან ჯარიმა დაინიშნა. ბურთი ბექემმა გაასწორა, მოჭრილი დაარტყა და ლამაზი გოლიც შეაგდო 2:0.

40. პრესიადომ შემობრუნებით სცადა ანგარიშში სხვაობის შემცირება, მაგრამ არ გამოუვიდა, სიმენმა აჯობა.

46. ოუენმა სქოულზს გადააწოდა, ამან უძლიერესად გაისროლა, მონდორაგონმა სასწაულებრივად მოიგერია ბურთი კუთხურზე, ხოლო იქიდან ჩაწოდებულის შემდეგ შირერის თავური აილო.

49. ამჯერად სქოულზის ასისტენტობა ანდერტონმა ითავა, ჩააწოდა, მაგრამ სქოულზმა მაკრატელათი ააცილა.

51. შირერს მეკარესთან პირისპირ გასვლა შეეძლო, მაგრამ შორიდან მოინდომა კარის აღება. მონდრაგონი ჩანაფიქრს მიუხვდა.

52. კემპბელმა კოლუმბიელთა კარისკენ მიმავალ გზაზე ოთხი მომხვდური ჩამოიცილა, მისი დაწყებული კი ოუენმა გააგრძელა, მაგრამ ისევ მეკარემ იმარჯვა — ოუენს მახვილი კუთხიდან ტექნიკურად დარტყმული აულო.

75. მონდრაგონმა ანდერტონის მოჭრილიც გააუვნებლა.

79. რინკონის მაკრატელაც ასცდა სიმენის კარს.

81. ოუენი მეკარესთან პირისპირ დარჩა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ინგლისელმა ბიჭმა მონდრაგონს ისე მოარტყა ბურთი, ცხვირ-პირი გაუერთიანა.

83. ბექემი აბრაგანით ცდილობდა გოლის გატანას, ძლიერად გამოუვიდა.

84. მაკმანამანის ჩაწოდებულს შირერი შეეგება, ძალ-ღონე არ დაზოგა, მაგრამ მონდრაგონმა ისევ იყოჩაღა — ნახტომში დაეუფლა ბურთს.

89. შირერის საჯარიმო მეკარემ გაჭირვებით აილო, თუმცა მსაჯმა სასტვენის გარეშე რად დაარტყიო, ყვითელი ბარათით დააჯილდოვა. საჯარიმო განმეორდა. შირერმა ამჯერად ბურთს მიმართულება და ტრაექტორია შეუცვალა. მონდრაგონმა ბურთი ხელებით ძლივს მოიგერია, მერე კი გვერდიდან ბექემის დამატებულიც არ გაუშვა.

# რუმინული გვირილები

მატჩი №47. 26 ივნისი. სენ დენი. სტად დე ფრანსი. 80 000 მაყურებელი

## რუმინეთი 1:1 ტუნისი

0:1 სუია (10პ); 1:1 მოლდოვანი (72)

გამარჯვება სიხარულს რომ იწვევდა, ეს კი ვიცოდი, მაგრამ თუ მოგებას შეიძლებოდა ადამიანი, უფრო სწორად, რამდენიმეკაციანი ჯგუფი, ამ შემხთვევაში გუნდი გაეგიჟებინა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი — ინგლისელებთან გამარჯვების შემდეგ რუმინეთის ნაკრების უკლებლივ ყველა მოთამაშემ, ძირითადში გამწესებულმა და სათადარიგომაც, თმები ყვითლად შეიღება, მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ კი საერთოდაც თავი გადაიპარსა. ისედაც ყვითელი ფორმით მოთამაშე რუმინელებს თითქოს ესღა აკლდათო. მართალია, მათ გუშინ ტუნისელებთან წითელი მაისურებით ითამაშეს, მაგრამ ფეხბურთელთა ყვითელი თავები ისე ცუდად ეხამებოდა მაისურებს, რომ მაყურებლის უარყოფით რეაქციას იწვევდა.

თმების ბუნებრივი ფერის ცვლილებებთან ერთად რუმინელებმა სათამაშო სტილიც შეცვალეს — შეღებილთმიანი რუმინელები ისე ცუდად თამაშობდნენ, ადამიანს გაუკვირდებოდა, ამათ მერვედფინალს როგორ მიაღწიესო. კარპატელი მობურთალნი ცალი ფეხით გამარჯვებას აპირებდნენ, მაგრამ ბოლო მატჩში გამარჯვების სურვილით შეპყრობილმა ტუნისმა მათ სურვილის შესრულების საშუალება არ მისცა — მედგარი წინააღმდეგობის შედეგად ტუნისმა რუმინეთთან ფრედ 1:1 ითამაშა.

პირველი ორი მოგებული მატჩის გამო რუმინელებს თავი ქუდში დაეგულებინათ და ანგელ იორდანესკუმ რამდენიმე ძირითადი მოთამაშის დასვენება გადაწყვიტა, თუმცა გამოაკლდნენ თუ არა ლიდერები რუმინელებს, აქამდე კოლუმბიელთა და ინგლისელთა მძლეველი საკმაოდ სიმპათიური რუმინეთი უსახურ ნაკრებად იქცა. მართალია, კვლავ შეინიშნებოდა დალაგებული თამაში, შესანიშნავი ორგანიზება, მაგრამ ამავდროულად ცხადად ჩანდა, რომ გუნდს რაღაც აკლდა — ამ შემთხვევაში ისინი, რომელნიც სათადარიგოთა შორის აღმოჩენილიყვნენ.

კრისტიან დულჩას გეორგე პოპესკუს პოზიციაზე სცდიდნენ, მაგრამ ახალგაზრდამ ამოცანას თავი ვერ გაართვა — გარდა იმისა, რომ მისი ფლანგიდან რუმინელთა კარს საფრთხე ხშირად ემუქრებოდა, გოლი სწორედ დულჩას უხეშობის შედეგად გავიდა — სტელიას საჯარიმოში შეჭრილი მეჰდი ბენ სლიმენი დულჩამ, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, მინდორზე დაეცა. პენალტი სავსებით სამართლიანი გახლათ, ისევე როგორც რუიას გატანილი გოლი.

დაწინაურების შემდეგ რუმინელებს ცდა არ დაუკლიათ, ანგარიში გაეყაიმებინათ, მაგრამ სანამ გუნდს ლიდერები არ დაუბრუნდნენ, მანამ არაფერი გამოვიდა — წამყვან მოთამაშეთა გარეშე დარჩენილი რუმინეთი ნამდვილად არ იყო ის გუნდი, ინგლისელებთან გამარჯვებას რომ შეძლებდა.

მთელი პირველი ტაიმი, მეორე ნახევრის დასაწყისიც და საერთოდ შეხვედრაც ტუნისელთა კარნახით მიმდინარეობდა, თუმცა საათნახევრის განმავლობაში ჩოკრი ელ კაერი გულხელდაკრეფილი სულაც არ გახლდათ. შესვენებამდელ ხუთწუთეულში და მეორე ტაიმშიც რუმინელები ძალიან ცდილობდნენ, გაეყაიმებინათ, მაგრამ სანამ თამაშში ვიორელ მოლდოვანი არ ჩაერთო, მანამ არაფერი გამოვიდა. 67-ე წუთზე საქართველოს ნაკრების კარში სამი გოლის გამტანმა მოლდოვანიმ უსახურად მოთამაშე ილიე დუმიტრესკუ შეცვალა, ხუთ წუთში კი გააყაიმა კიდეც — ტუნისელებმა თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირება სცადეს, მაგრამ შეცდნენ. იქ კი, მარჯვენა ფლანგზე განავარდებულმა ლაკატუშმა საჯარიმოში ჩაწოდება არ დაახანა, მოლდოვანის დარტყმა ზუსტი გამოდგა — 1:1. რაკი ლაკატუში ვახსენე, აქვე დავძენ, რომ ამ ფეხბურთელმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. განა იმიტომ, რომ თმები ყვითლად ჰქონდა შეღებილი და უსახურად გამოიყურებოდა? არა, უბრალოდ მას ძალიან ცუდი ხასიათი აღმოაჩნდა — ინგლისთან მატჩი იყო და ტონი ადამსი ხელის ჩამორთმევის ღირსად არ ჩათვალა, ახლა კი სეიას ისეთი უთავაზა, ჩინებულ მოკრივესაც შეშურდებოდა.

მთლიანობაში შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. ღია თამაშის გამო მომენტები ამა თუ იმ კართან ხშირად იქმნებოდა. თუმცა საცოდაობა ის გახლდათ, რომ გუნდები მათ რეალიზებას ვერ ახერხებდნენ. ფორვარდებს დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო ზუსტად რომ ემოქმედათ, მათთვისაც და გულშემატკივართათვისაც უკეთესი იქნებოდა.

დღეს რუმინეთი უკვე მერვედფინალშია, იქ კი მეოთხედფინალის საგზურისთვის ბრძოლა ხორვატიასთან მოუწევს. დამეთანხმებით, ურთულესი მატჩი იქნება.

...საერთოდ, სასწარფო დახმარებას იძახებენ ხოლმე, „სტად დე ფრანსზე" კი დაშავებული რიად ბუაზიზის რუმინელთა მეკარე ბოგდან სტელეა თავად, საკუთარი ინიციატივით დაეხმარა — დაზარალებული ტუნისელი სტელეამ ისე შემოიგდო მხარზე, უთუოდ თუში მეცხვარე გაგახსენდებოდათ თავის სტიქიაში.

და მაინც, გუშინ ტუნისი — რუმინეთის მატჩზე რუმინელთა შეღებილმა თმებმა უფრო მეტიი გამოხმაურება ჰპოვა, ვიდრე იერშეცვლილმა რუმინეთის გუნდმა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვისი აზრი იყო თმების შეღებვა, მაგრამ ამ იდეის ავტორი რომ სრულ ჭკუაზე არაა, ეს ნათელია.

**ლაშა გოდუაძე**

### მატჩის შემდეგ

**ანგელ იორდანესკუ**, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: დღევანდელი მატჩის პირველი ტაიმი მეტად უფერულად ჩავატარეთ. აღარც კი მახსოვს, ასე ცუდად ჩემმა გუნდმა ბოლოს როდის ითამაშა. ფეხბურთელები ელემენტარულად ზუსტ პასებს ვერ იძლეობდნენ და, რაც ყველაზე მთავარია, ერთმანეთს ხშირად ვერ უგებდნენ. შესვენების შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. ბიჭებმა ჩემს მიერ მიცემული დირექტივები ყურად იღეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მეორე ნახევარში ნაჩვენები თამაში უკვე ახლოს იყო იმასთან, რასაც ჩემი ფეხბურთელებისგან შემდეგ შეხვედრებში მოველი. ისე კი უნდა აღვნიშნო, რომ დღეს ჩემი გუნდის სუსტ თამაშს თავისი მიზეზები ჰქონდა. ყველაფრის თავი და თავი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ მერვედფინალური მატჩისთვის ხუთი წამყვანი ფეხბურთელის დასვენება გადავწყვიტე და დღეს მათ მოედნაზე შეშვებას საერთოდ არ ვაპირებდი. მაგრამ შეხვედრა ჩვენთვის არასასურველი სცენარით წარიმართა და იძულებული გავხდი, რამდენიმე მათგანი საქმეში ჩამერთო. საბოლოო ჯამში, ქულის დაკარგვის მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ. ჩვენ ხომ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ და იმავდროულად ის მოთამაშეებიც შევინარჩუნეთ, რომელთაც წინ ორ შეხვედრაში ყვითელი ბარათები მიიღეს და კიდევ გაფრთხილების შემთხვევაში მერვედფინალური ბრძოლის იძულებით გამოტოვება მოუწევდათ. მინდა გითხრათ, რომ შემდეგ წრეში სწორედ ხორვატიასთან გვერჩივნა შეხვედრა, რადგან არგენტინელებისგან განსხვავებით მათი თამაშის სტილი ჩვენისას ჰგავს და ამიტომ ექსიუგოსლავიელების დამარცხებას უფრო ადვილად შევძლებთ.

**ალი სელმი**, ტუნისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: პირველ ნახევარში მართლაც საუცხოოდ ვითამაშეთ. ეს იყო წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარებული საუკეთესო ტაიმი. აი, მეორე ნახევარს რაც შეეხება, უნდა ვაღიარო, რომ მეტოქემ იგი გაცილებით უკეთ წარმართა და ერთი ქულაც სრულიად სამართლიანად მოიპოვა. გახსოვთ, ალბათ, ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრაში მეტად უსუსურად გავისარჯეთ. მეორე მატჩში, არაერთი ხელსაყრელი მომენტის მიუხედავად, ერთი გოლის გატანაც კი ვერ მოვახერხეთ. ყოველივე ამის გამო გუნდისთვის, რომელმაც შემდეგ წრეში გასვლის შანსი უკვე დიდი ხანია დაკარგა, ძნელი იყო, დღეს საუკეთესო თამაში მომეთხოვა. ამის მიუხედავად, ისინი მაინც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდნენ ბოლო შეხვედრას და, ვფიქრობ, თავი არ შეირცხვინეს.

**ვიორელ მოლდოვანი**, ტუნისის ნაკრების კარში საპასუხო გოლი გამტანი: მატჩის წინ გუნდის მთავარ მწვრთნელთან ვისაუბრეთ. მან გვითხრა, რომ მთელი გულისხმევით არ გავრჯილიყავით და ძალები მერვედფინალური შეხვედრისთვის შემოგვენახა. მაგრამ მეტოქე იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. ამიტომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს მინდორზე შესვლა მოგვიხდა. ბედნიერი ვარ, რომ საპასუხო გოლი სწორედ მე გავიტანე, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მეორე ტაიმში ყველამ კარგად ვითამაშეთ და გოლიც მთელი გუნდის დამსახურება გახლდათ.

**რუმინეთი**

12. სტელეა

2. პეტრესკუ | 4. დობოში | 3. დულჩა | 13. ჩობოტარიუ

17. დუმიტრესკუ | 5. გალკა | 8. მუნტეანუ

10. ჰაჯი

15. მარინესკუ | 7. ლაკატუში

18. ბენ სლიმანი | 11. სელიმი

14. ჩიჰი | 8. ბეია | 15. სუია | 10. გოდბენი

13. ბუაზიზი | 3. ტრაბელსი | 6. ჩუჩანე | 4. ბუკადიდა

1. ელ კაერი

**ტუნისი**

შეცვლა: **გუნჩა — 6. გეორგ პოპესკუ (30), ლაკატუში — 11. ილიე (46), ბენ სლიმანი — 9. ჯელასი (54), დუმიტრესკუ — 9. მოლდოვანი (67), გოდბენი — 7. თაბეტი, სუია — 2. ბენ ინეში (90)**

გაფრთხილება: **ბეია, სუია**

მთავარი მსაჯი: **ე. ლინი (ავსტრალია)**





REUTERS სენ დენიდან

ახალშესულმა ილიემ ჩააწოდა და ახალშესულმავე მოლდოვანმაც (№9) ანგარიში გაათანაბრა

### მატჩის სტენოგრამა

4 წუთი. დან პეტრესკუ კარგად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, თუმცა საბოლოო დარტყმას თავი ვერ მოაბა და მომენტიც დაკარგა.

6. ჰაჯიმ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ჩვეულად გაისროლა. მეტად არაზუსტად.

10. საჯარიმო მოედანში სახიფათოდ შესული სელიმი დულჩამ მოცელა. სუიამ პენალტი ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახსნა.

14. ლაკატუშს სახიფათოდ გაუჭრეს ბურთი, ამანაც კარგად დაიმორჩილა და კარში შეაგდო, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

16. ჰაჯი კვლავ ოცდახუთიოდე მეტრიდან ყუმბარისებურად ურტყამს. ისევ არაზუსტად.

18. სელიმიმ მეტად მახვილგონივრულად გადააწოდა სუიას, ეს კი მეკარესთან პირისპირ დარჩა და თითქმის ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ გოლკიპერმა ივარგა.

20. გოდბენის ბურთი მოედნის შუაგულიდან ჩააწოდეს. ესეც საჯარიმოს მიუახლოვდა, კარგადაც დაარტყა, მაგრამ მეკარე შეუვალი აღმოჩნდა.

24. სელიმი ისევ აქტიურობს. მის მიერ ჩაწოდებულ ბურთს სუიაზე ადრე მეკარემ მიაწსრო.

32. გეორგე პოპესკუმ საკმაოდ შორი მანძილიდან სცადა კარის დალაშქვრა. ისევ უშედეგოდ.

42. საუცხოო კომბინაცია: ჰაჯიმ პეტრესკუს უპასა, ამან კი დუმიტრესკუ მოძებნა, რომელმაც გოლის გატანაღა დარჩენოდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა.

45. სუია ათიოდე მეტრიდან სახიფათოდ ურტყამს. რუმინელთა ბედად, ბურთი კარს სულ მცირე მანძილით სცდება.

51. პარტნიორებმა შორეული პასით ილიე მოძებნეს, თუმცა მინდორზე ახალშესულმა ბურთი ვერ დაიმორჩილა.

56. ილიე უკვე მარჯვნიდან აწვდის, სადაც სახიფათო პოზიციაში დუმიტრესკუა. კვლავ უიღბლობა.

61. დუმიტრესკუ სულ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ მისი თავური მეკარემ ფეხით მოიგერია.

72. ილიე საჯარიმო მოედანში მარჯვნიდან შეიჭრა. მის ჩაკიდებულს თავი ჩუჩანემ აჰკრა, მაგრამ ბურთი მოლდოვანს მიუვიდა და ამანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:1.

74. მოლდოვანს ურეალურესი მომენტი შეექმნა, მეკარესაც კარგად უგდებდა თავზე, მაგრამ ააცილა.

77. ტუნისელები სახიფათოდ უტევენ. გადამწყვეტ დარტყმას კი სელიმი ვერ ასრულებს.

86. ჰაჯი საჯარიმოში შეიჭრა და ილიეს მიაწოდა, ამ უკანასკნელმა ბურთი კი მიიღო, მაგრამ შეტევას ლოგიკური დასასრული ვერ მოუნახა.

89. ჰაჯის რეალური შანსი მიეცა, ახლოდანაც ურტყამდა, მაგრამ...



REUTERS სენ დენიდან

ჯერ არავინ იცის, რატომ გაყვითლდნენ რუმინელები

# რატომ ჩაგრავენ ხორვატები ბავშვებს?

მატჩი №45. 26 ივნისი. ბორდო. სტად ლესიური. 36 500 მაყურებელი

## არგენტინა 1:0 ხორვატია

1:0 პინედა (36)

ყოჩაღ, არგენტინა! ძლიერი გუნდების განმასხვავებელი ნიშანიც ეგ არის, ყველას უნდა მოუგო. დანიელ პასარელას დაწყობილ-გაწვრთნილმა არგენტინის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს პირველობის ჯგუფური ეტაპის სამივე მოწინააღმდეგე დაამარცხა და თან ისე, რომ გოლი არ გაუშვია.

ერთი კითხვა შევბედო პრაქტიკოსთ, ხანდახან ყოველივე ამის მიღმა უუნარობა ხომ არ იმალება? ეს მხოლოდ და მხოლოდ კითხვაა, პასუხს კი პლეი ოფი გასცემს.

ამრიგად, ხორვატებმა არგენტინელებთან მატჩის დროს თავი ამ თავის შენახვითა და ზვონიმირ ბობანის კისეკარაა სხვაობა.

ხორვატებს არგენტინელებმა აჯობეს. აჯობეს იმიტომ, რომ უფრო ძლიერები არიან, უფრო ტექნიკურები, ტაქტიკურად განსწავლულნი. გუნდად უფრო შეკრულნი.

ერთადერთი კომპონენტი, რომელშიც სლავებმა უპირატესობა ნახეს (თუ ამას უპირატესობას დავარქმევთ), მაღლა ჩაწოდებულ ბურთის მიწვდომა გახლდათ. აქ სიტყვა მიწვდომას შეგნებულად ვწერთ, რადგან ხორვატები სწორედ რომ წვდებოდნენ ბურთს, მისი სწორად დარტყმისა კი რა მოგახსენოთ.

მთლიანობაში თამაში, როგორც ზევითაც ვთქვით, გოლის გატანასთან ერთად დამთავრდა. ორტეგას პასით იტალიური „უდინეზეს" მოთამაშემ, ექტორ პინედამ საუცხოოდ დაამუშავა ბურთი და ხორვატთა მეკარის დრაჟენ ლადიჩის კარი დალაშქრა. ეს იყო და ეს, მეორე ტაიმში ხორვატებმა სირბილით თავი აღარ შეიწუხეს, არგენტინელებმა კი თავთავიანთი ზონა გაამაგრეს და ერთი-ორი ეპიზოდის გარდა თავიანთ სანახებში ცხვირი აღარ შეაყოფინეს მოწინაალმდეგეს.



ალმეიდამ (№5) წამით დაასწრო შუკერს და სახიფათო მომენტიც განიმუხტა

გავიხსენოთ: პირველ შეხვედრაში არგენტინელებმა 1:0 მოუგეს იაპონელებს, მეორეში ისინი იამაიკას გაუსწორდნენ სასტიკად — 5:0, გუშინ კი ხორვატებსაც იაპონელთა ბედი სწიეს.

ხორვატების რაობაზე დაბეჯითებით საუბრისგან, თქვენი ნებართვით, ჯერ თავს შევიკავებთ. ფაქტი ასეთია, მათ დაამარცხეს იამაიკა და იაპონია (3:1, 1:0), ხოლო ჯგუფის ძლიერ წევრთან, არგენტინასთან 0:1 წააგეს. არაა გამორიცხული, რომ ყოფილმა იუგოსლავიელებმა ბევრზე იმ გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, რომელსაც მხოლოდ „ბავშვების" დაჩაგვრა ეხერხება.

არის კონტრარგუმენტიც. ხორვატებს ბოლო შეხვედრაში არგენტინასთან ოფლისღვრა არას არგებდა და ამიტომაც მოედანი ისე დატოვეს, რომ მაისურები შეუძლიათ არც კი გარეცხონ. ვთქვათ და, შეკვდომოდნენ სამხრეთამერიკელებს. ჯერ ერთი, დაიღლებოდნენ, მეორეც, პირველზე გავიდოდნენ თუ მეორეზე, ანუ მეოთხედფინალში G ჯგუფიდან ვის შეხვდებოდნენ, ინგლისს, კოლუმბიას თუ რუმინეთს (მათი მატჩის დროს G ჯგუფის ამბების გარკვევამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი), დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თანაც, პირველ ტაიმში გოლი რომ გაუშვეს, გადაწყვიტეს, სირბილს მით უმეტეს აღარ აქვს აზრიო.

ასეთმა განწყობამ მოიტანა, ის, რომ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ორ ხორვატ მეტოქეს ერთი მცველის პირისპირ თამაშის საშუალება რომ მიეცა (მცველის უკან მეკარის გარდა აღარავინ იყო) მათ სამ-ოთხ მეტრში სწორი პასის გადაწოდებსაც კი ვერ დაუდეს გული.

მოკლედ, ისევ და ისევ პრაქტიციზმი. მოგება არ მინდოდა და ამიტომ წავაგეთ თეორია. ვერ შეედავები, ყველაფერი ლოგიკურია, მაგრამ ნება დამრთეთ, რზე დახატული წითელი 10-იანით დაგვამახსოვრეს. ეტყობა, ბობანს მარტო მაისურზე გამოსახული ნომერი არ აკმაყოფილებდა.

რაც შეეხება არგენტინას, მასთან ბარე ორი უნდა იყოს ფრთხილად. პასარელას ძალიან კარგად ორგანიზებული გუნდი ჰყავს, ყველამ თავისი ფუნქცია იცის, ყველა მაღალი დონის პროფესიონალია, ყველა იბრძვის. ბატისტუტაა და ნებისმიერ წუთში გაიტანს გოლს, ხოლო თუ ვერ გაიტანა, მცველებს ისეთ დღეს დააყრის, რომ სხვებს გაეხსნებათ ხელ-ფეხი. ორტეგაა და იქნებ ცოტა ზედმეტადაც ატარებდეს ბურთს, მაგრამ საგოლე პასია და მისია, გოლია და მას გააქვს, მცველების დაწიოკებაა და აქაც მისი ხელი ურევია. ვერონი, სიმეონე, ძანეტი და აგერ, „რივერ პლეიტის" მარსელო გალიარდო, 22 წლის ბიჭი, უზარმაზარ სამუშაოს ასრულებენ, დაცვაშიც იბრძვიან და წინაც დიდ წნევას ქმნიან. ლოპესიც ძალიან სხარტი და მუშა ფეხბურთელია.

დიახ, ეს არგენტინა განსხვავებულია იმისგან, 20 წლის წინ სესარ ლუის მენოტიმ მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახადა და რომელშიც თავად დანიელ პასარელა ბრწყინავდა. ვგონებთ, ეს უფრო პრაქტიკულ ფეხბურთს თამაშობს, ის კი უფრო ცეკვავდა, ეს თავდაცვაზეც ფიქრობს, ის უფრო უტევდა, აქ არტისტიზმი თითქოს ნაკლებია, იქ თითქოს მეტი იყო, მაგრამ ესეც ძალიან ძლიერი გუნდი ჩანს და ის ხომ იყო და იყო.

იმაზე, რომ არგენტინის დღევანდელი ნაკრები მარადონას დროინდელისგან განსხვავდება, უბრალოდ აღარაფერს ვამბობთ, იმდენად აშ-

**ილია ბაბუნაშვილი**

### მატჩის შემდეგ

**დანიელ პასარელა**, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი: ძალიან გახარებული ვარ, გამარჯვებას ვიმსახურებით და გავიმარჯვეთ კიდეც. ჩვენ გვინდოდა მორიგი შეხვედრაც აქ გვეთამაშა და მოხარული ვარ, რომ მერვედფინალში მეტოქეს კვლავ სენტ ეტიენში ვუმასპინძლებთ. ქალაქი ჩვენთვის და გულშემატკივრებისათვის თითქოს სახლადაც იქცა. ჯგუფის მოგება კარგია, განსაკუთრებით გამახარა იმან, რომ სამივე მეტოქე დავამარცხეთ, ამავდროულად გოლიც არ გაგვიშვია. დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ. გუნდმა დასახულ მიზანს მიაღწია, გაიმარჯვა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კარგად ვთამაშობთ. ჩემი აზრით, საკმაოდ კარგი შანსები გვაქვს, უფრო და უფრო შორს წავიდეთ. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს მერვედფინალში, მათზე შემდეგს ვიტყოდი (პასარელამ მერვედფინალზე მეტოქის გარკვევამდე რამდენიმე საათით ადრე ისაუბრა): რუმინეთი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვგონებ, კარგი გუნდია. კოლუმბია ძველი ნაცნობია, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მათთან ბრძოლა უფრო გაგვიადვილდება. რაც შეეხება ინგლისს, მიმაჩნია, რომ ამ გუნდს საკუთარი შესაძლებლობები მთლიანად არ გამოუვლენია. ასე მგონია, გლენ ჰოლდს საიდუმლო იარაღი შემონახული აქვს, რომელსაც დადგება დრო და გამოიყენებს კიდეც.

**მიროსლავ ბლაჟევიჩი**, ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი: ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან დავმარცხდით, თუმცა ეს წაგება სულაც არ ამართლებს. ჩვენთვის, ხორვატებისთვის, მარცხი მარცხია, არ აქვს მნიშვნელობა, ლიდერთან წავაგებთ, თუ აუტსაიდერთან. დღევანდელ მატჩს რაც შეეხება, ვფიქრობ, ჩვენ ცუდად არ გვითამაშია, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, გუნდის მოქმედებით კმაყოფილი ვარო. მერვედფინალში გასვლამ ძალიან გამახარა. ფსიქოლოგიურად ეს ძალიან კარგია და ახლა სამეოთხედფინალოდაც ვიბრძოლებთ. ხორვატიას შესწევს უნარი თანაბრად ებრძოლოს მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულ გრანდებს. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ხორვატია ძლიერი გუნდია, ნაკრები რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია. მართალია, მერვედფინალში მეტოქე ჯერ არ გარკვეულა (ბლაჟევიჩმაც მეშვიდე ჯგუფის თამაშებამდე ისაუბრა), მაგრამ სულ ერთია, ვინ შეგვხვდება. ჩვენი მიზანი ერთია — გამარჯვება.



გალიარდოს (№20) ხორვატები ერთად თუ უმკლავდებოდნენ

**არგენტინა**

1. როა

2. აიალა — 14. ვივასი — 5. ალმეიდა — 13. პასი

22. ძანეტი — 11. ვერონი — 20. გალიარდო — 4. პინედა

10. ორტეგა

9. ბატისტუტა

9. შუკერი — 13. მრმიჩი

8. პროსინეჩკი

20. სიმიჩი — 7. ასანოვიჩი — 10. ბობანი — 11. მარიჩი

17. იარნი — 14. სოლდო — 6. ბილიჩი

1. ლადიჩი

**ხორვატია**

შეცვლა: **მარიჩი — 19. ვლაოვიჩი (46), ორტეგა — 7. ლოპესი (53), პროსინეჩკი — 4. სტიმაჩი (68), ძანეტი — 8. სიმეონე (68), გალიარდო — 16. ბერტი (81)**

გაფრთხილება: **ორტეგა, აიალა, ვივასი, ბილიჩი, სოლდო, ბობანი, იარნი**

მთავარი მსაჯი: **ს. ბერჯოლა (მაროკო)**

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. ბილიჩმა კარგი პასი მიაწოდა შუკერს, რომლის სახიფათო თავური დარტყმა არგენტინელთა კარს უკან ჩაეშვა.

6. გალიარდოს ჩაწოდებულ საჯარიმოს პაბლო პასი ოდნავ თავით შეეხო, მაგრამ კართან მარტოდ დარჩენილმა აიალამ ბურთის დამორჩილება ვერ შეძლო.

12. პროსინეჩკიმ დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან გაისროლა — არაზუსტად.

18. ამჯერად არგენტინელმა ძანეტიმ დაარტყა ხორვატთა საჯარიმოს მისადგომებთან. ბურთი დიდი მანძილით ასცდა კარს.

34. მარცხენა ფლანგზე ბობანმა ორი სამხრეთამერიკელი ჩამოიშორა და ცენტრისკენ გადაინაცვლა. მის მიერ მეკარისგან მარჯვენა კუთხეში გაგზავნილი ბურთი ზემოდან გადასცდა ხარიხას.

36. ორტეგამ საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი პინედა შენიშნა და ზუსტად უპასა. ამ უკანასკნელმა აუღელვებლად გახსნა ანგარიში.

45. გალიარდოს შესრულებული საჯარიმო კედელს ხვდება. მისი განმეორებითი დარტყმა ლადიჩმა მოიგერია.

54. პინედას ჯარიმიდან გასროლილი არაზუსტი გამოდგა.

63. ვლაოვიჩის ეფექტურად დარტყმული როას კარის ხარიხას მოხვდა.

66. მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილმა ბობანმა სუსტად დაარტყა. ბურთი არგენტინელმა მეკარემ მოიგერია.

70. გალიარდო ცრუმოძრაობით გასცდა ორ ხორვატ ფეხბურთელს, მაგრამ მეკარის მარჯვენა კუთხეს ზუსტად ვერ დაუმიზნა.

73. არგენტინელ მცველს ბურთი აეჭირა, ბობანის თავური რომ მოიგერია.

77. სიმიონემ კარგი პასი მიაწოდა ვერონს, რომლის დარტყმულიც ლადიჩმა ფეხით კუთხურზე გაგზავნა.

82. იარნის ჩაწოდებულს ბილიჩმა თავით შეუცვალა მიმართულება. ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

93. საჯარიმოს მისადგომიდან შუკერი არგენტინელთა კარს ძლიერი დარტყმით დაემუქრა.

# ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲐ

მატჩი №46. 26 ივნისი. ლიონი. სტად ჟერლანი. 44 000 მაყურებელი

## ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 1:2 ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲐ

0:1, 0:2 უიტმორი (39, 54); 1:2 ნაკაიამა (75)

REUTERS ლონდონიდან



იაპონელთა ისტორიული გოლი, პირველი მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ნარაიამას წიგნში ჩახატავენ

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ სახალხო თამაშია ეს ჩვენი ფეხბურთი. ჟოაო აველანჟის გეგმაზომიერი და საზრიანი პოლიტიკით, მან მთელი მსოფლიო მოიცვა. ამის წყალობით ფეხბურთის თამაშის და გუნდების შექმნის საშუალება ყველას მიეცა. ინდოეთშიც კი, ბენგალის ლიგა არსებობს.

შემდეგ, სახალხო ფეხბურთი ფართოდ წარმოდგა მსოფლიო ჩემპიონატზე. ადრე თუ ერთ ჯგუფში მხოლოდ ერთი სუსტი გამოერეოდა, ახლა საქმე ისეა, რომ ძირითადად ორი სუსტი გუნდი გვხვდება. გინდა, თუ არა ეს გუნდები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ. ჩვენ კი უნდა ავწეროთ ეს თამაში და ძირითადად ვილაპარაკოთ იმაზე, რომ, მართალია ამ გუნდებს არ ძალუძთ ძველ საფეხბურთო სამყაროსთან ჭიდილი, მაგრამ სასახელოა, რომ ჩემპიონატზე მოხვდნენ, რომ ტაქტიკა იციან და ჯანიც მოსდევთ. და რომ მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთში ბევრი ვერაფერი წვლილი შეაქვთ, თავიანთ ერებს ახარებენ. აი, ამ სიხარულის გამო არიან ისინი ჩემპიონატზე.

როცა ორი ასეთი გუნდი ერთმანეთს ხვდება, ჩვენ ვწერთ, რომ მათ ბრძოლაში არ წყდება არაფერი, გარდა ღირსების საკითხისა. უნდა მოგახსენოთ, რომ იაპონელი და იამაიკელი ერების გარდა, გარდა სტადიონზე გასართობად მისული ხალხისა და ჟურნალისტებისა, ალბათ ბევრს არავის უცქერია იაპონია — იამაიკის მატჩისთვის. მსოფლიო ქომაგთა ამ უმცირეს ნაწილს ამ წერილის ავტორიც მიეკუთვნება.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ შეხვედრის პირველი წუთების ცქერა ვერ მოვახერხე. საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი ალბათ ერთადერთი იყო მსოფლიოში (იაპონური და იამაიკური ტელეკომპანიების გარდა) ამ შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს რომ გადმოსცემდა. თბილისში პარლამენტის სხდომა გაგრძელდა, ლიონში კი ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და იამაიკელები და იაპონელები მინდვრის კიდეზე არ შეაყოვნეს. მსოფლიოს სამი ათეული არხი, რომელიც მოვსინჯე, გადმოსცემდა სწორედ რომ არგენტინა — ხორვატიის შეხვედრას. ასე რომ, პირველი წუთებისას ვერაფერს გეტყვით, დანარჩენისას კი წვრილად მოგახსენებთ. თუმცა, წვრილად ვისაც დააინტერესებს, მას შეუძლია მატჩის მსვლელობის სტენოგრამა იხილოს.

სხვაფრივ კი, ეს იყო მსოფლიო „ჭ“ კლასის ლალი, ღია და შემტევი ფეხბურთი. იაპონელებს უნდოდათ თავიანთი ისტორიული გოლის გატანა და გამარჯვება. აქედან პირველი კი შეასრულეს, მაგრამ მეორე ოთხი წლით გადადეს. იამაიკელებს მოგება სწყუროდათ და აისრულეს კიდეც.

თამაშის გმირი იყო იამაიკური ფეხბურთის ვარსკვლავი, უპირველესი რეგი ბოი თეოდორ უიტმორი, რომელმაც შეხვედრის პირველი ორი გოლი გაიტანა. ჩვენის თვალთახედვით, უიტმორი მალე მიატოვებს თავის „სება იუნაიტედს“ და რომელიმე პატარა ინგლისურ „იუნაიტედში“ მოეწყობა მეგოლედ. პრემიერლიგაში მოთამაშე მისი თანამემამულენი, სულ შვიდი ერთეული კაცი, რობი ერლის და ფრენკ სინკლერის თამადობით, რეკომენდაციას არ დაამადლებენ.

იაპონელებს ძალიან უნდოდათ ჯერ გატანა და მერე კიდევ გათანაბრება. ნაკატამ დათუნაშვილისებრი კუთხურიც კი მიაწოდა, მაგრამ კარს გადააცილა. მასაში ნაკაიამამ კი ქადილი აასრულა და ერთი საპასუხო შეაგდო. შეცვლაზე შემოსული შინჯი ონოსა და რატომღაც ბრაზილიელ ვაგნერ ლოპესს თითქოს თამაში უნდა გარდაეტეხათ, მაგრამ აკი მოგახსენეთ, ეს ლალი ბურთაობა იყო-მეთქი. სილალეში კი იაპონელები იამაიკელებს ვერ დაჯაბნიან. რა, რა და თუკი რამ გააჩნია იამაიკას, ეს არის სილალე. სამწუხაროდ ტრიბუნებზე აღარ მიმდინარეობდა იამაიკის კულტურის დეკადა. ის ლამაზ-ლამაზი გოგოები, თვალებს რომ გვიბნელებდნენ ხოლმე, ახლა აღარ ჩანდნენ. ეტყობა, გასულ კვირაში გაჰყვნენ ჯანმაგარ ხორვატ ბიჭებს და კაი ტურაც დაიჭირეს.

სხვაფრივ, როგორი თამაში იყო? იყო და არც არა იყო რა.

თუმცა, დამტკიცდა, რომ ინგლისის პრემიერლიგა ჯერ კიდევ სჯობს იაპონიის ჯეი ლიგას. ასევე დამტკიცდა, რომ ინგლისელი იამაიკელები უფრო საზრიანი ფეხბურთელები არიან, ვიდრე იაპონელი ბრაზილიელები.

და კიდევ. კარგია, რომ იაპონიისა და იამაიკის ნაკრები გუნდები ოთხი წლით მაინც დაიკარგებიან ჩვენებრ რიგითი ქართველი გულშემატკივრის თვალსაწიერიდან. თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებმა მათთან გაპაექრება არ გადაწყვიტა და მარადიული მზისა და ამომავალი მზის კუნძულებზე გაფრენა არ გადაწყვიტა.

კარგია, რომ დღეიდან მერვედფინალები იწყება. დღეიდან ველარ ვიტყვი — იყო და არც არა იყო რა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**

REUTERS ლონდონიდან



ფეხბურთი აღმოსავლური ორთაბრძოლა როდია

**იაპონია**

1. კამაგუჩი

17. აკიტა 4. იჰარა 5. ომურა

2. ნარაჰაში 10. ნანამი 6. იამაგუჩი 3. სომა

8. ნაკატა

18. ჯო 9. ნაკაიამა

8. გეილი 22. ჰოლი

6. სიმპსონი 15. გარდნერი 3. დევისი 11. უიტმორი 2. მალკოლმი

5. გუდისონი 17. ლოუი 19. სინკლერი

13. ლოურენსი

**იამაიკა**

შეცვლა: **ომურა — 22. ჰირანო (58), ჯო — 12. ლოპესი (58), ჰოლი — 10. ბოიდი (72), ნანამი — 11. ონო (78), გეილი — 18. ბარტონი (79), სიმპსონი — 16. ერლი (90)**

გაფრთხილება: **იამაგუჩი, მალკოლმი, დევისი**

მთავარი მსაჯი: **გ. ბენკო (ავსტრია)**

### ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲢᲐᲙᲔᲨᲘ ᲝᲙᲐᲓᲐ, იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: გულდაწყვეტილი ვარ, რომ ჯგუფში ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შევძელით. მართალია, ეს მსოფლიოს ჩემპიონატი სადებიუტო იყო ჩვენი გუნდისთვის, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ მეგონა, ასე უფერულად თუ ვიასპარეზებდით. ჩემი ნაკრების თამაშის შემხედვარე ვერაფრით იფიქრებდი, რომ მას რაიმე მიზანი ჰქონდა. ფეხბურთელები მატჩების წინ მიცემულ მითითებებს ვერ ასრულებდნენ და მოედანზე მათ განლაგებაში აშკარა ხარვეზები შეიმჩნეოდა. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი გუნდის სუსტ თამაშში უპირველესად თავად ვარ დამნაშავე — ვერაფრით მოვაგებინე შეხვედრა, რომელში გამარჯვებაც სრულიად თავისუფლად შეგვეძლო. ის კი არა, ფრესაც ვერ მივაღწიეთ მატჩში, სადაც ამის დიდი შანსი გვქონდა. ყოველივეზე პასუხი, ალბათ, მე უნდა ვაგო, რადგან არა მგონია, ასეთი საშინელი შედეგის შემდეგ გუნდის სათავეში დარჩენის მორალური უფლება მქონდეს. რაც შეეხება ჩემს კონტრაქტს, იგი ივლისის ბოლოს იწურება და ამის მერე როგორ მოვიქცევი, თავადაც არ ვიცი. ეს, ალბათ, იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების გადასაწყვეტია. იაპონიელი ფანების მიმართ უკმაყოფილებას ნამდვილად ვერ გამოვთქვამ. საფრანგეთში ჩამოსვლის დღიდან მათ დიდ მხარდაჭერას ვგძრობდით და ამისათვის მინდა ულრმესი მადლობა მოვახსენო. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფურ ტურნირში სამივე შეხვედრა წავაგეთ, ჩვენმა ერთგულმა ქომაგებმა ზურგი არ გვაქციეს და ბოლო მომენტამდე გვამხნევებდნენ. ამიტომ სამწუხაროა, რომ მათ ერთი ლამაზი გამარჯვებაც კი ვერ მივუძღვენით.

ᲠᲔᲜᲔ ᲡᲘᲛᲝᲔᲨᲘ, იამაიკის ნაკრების მთვარი მწვრთნელი: დღევანდელი მატჩის შედეგით მეტად კმაყოფილი ვარ. როგორც იქნა, შევძელით გამარჯვების მოპოვება. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა ჯგუფის აშკარა აუტსაიდერად მიგვიჩნევდა, ჩვენ ამ აზრს არ ვიზიარებდით და ვფიქრობ, დღეს საფეხბურთო მსოფლიოს დავანახეთ, რომ თამაშისა ცოტა რამ იამაიკის ნაკრებსაც გაეგება. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში უძლიერეს გუნდებთან მოგვიწია ასპარეზობამ, დარწმუნებული ვარ, ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, მეორე ადგილსაც დავიკავებდით. თუმცა, რას იზამ, ჩვენ ხომ ასეთ უმაღლესი რანგის ტურნირზე პირველად ვიასპარეზეთ, რის კვალობაზეც ურიგოდ ნამდვილად არ გავრჯილვართ. საფრანგეთში უამრავი გულშემატკივარი გვახლდა, რომლებმაც მხურვალე მხარდაჭერით დიდი დახმარება გაგვიწიეს. ჩვენც ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა მათთვის სიხარული მიგვენიჭებინა და მე მგონი, ბოლო შეხვედრაში ეს შევძელით. ახლა ბიჭებს ცოტა ხნით დავასვენებთ, მით უმეტეს, რომ ეს მათ სავსებით დაიმსახურეს.

### ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ

22 წუთი. გარდნერმა გრძელი რეიდი განახორციელა და საჯარიმოში მყოფ უიტმორს გადაუგდო ბურთი, მის დარტყმულ ბურთს მეკარე დეეუფლა.

23. იამაგუჩიმ გაისროლა შორიდან, არაზუსტად.

28. შოჯი ჯომ ნანამის დაუგორა, რომელმაც ძლიერად, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

31. ნაკატამ ჯარიმიდან ჩააწოდა, გამოსვლაზე მეკარე ლოურენსმა ნახტომით განმუხტა მდგომარეობა.

36. მარკუს გეილის სახიფათოდ დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

38. სომას თავური პასის შემდეგ ჯომ ბურთი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ მას კრისტოფერ დევისი გადაეფარა.

39. გეილმა იაპონელი მცველები დააბნია, იქვე მდგომმა უიტმორმა კი თავისიანები დააწინაურა.

40. სიმპსონის დარტყმულს კამაგუჩი ეუფლება.

44. გარდნერმა საჯარიმოში მცველებს თავგზა აუბნია, მაგრამ ბოლოს ვერ ივარგა.

47. ნაკატა კუთხურიდან პირდაპირ კარში ახვევდა ბურთს, ოდნავ არაზუსტად.

48. სიმპსონის პასით ჰოლი ცდილობდა ეხეირა, მაგრამ მცველს ვერ ააცილა.

50. იამაგუჩის ღონივრად გასროლილმა ლოურენსის კარის ხარიხას გადაუფრინა.

52. ნაკაიამას დარტყმული ლოურენსს ხელიდან გაუვარდა, დამატებაზე იაპონელთაგან არავინ იყო.

54. საჯარიმოში მყოფმა უიტმორმა ომურა მოიცაილა და კამაგუჩის აულებელი დაურტყა — 0:2.

55. ნარაჰაში ცდილობდა, მიწაზე დაუშვებლად ბურთი კარისკენ გაეგზავნა, ძელმა აისხლიტა.

60. ლოპესის დარტყმული ლოურენსმა მოიგერია, გადმოეარდნილზე ნაკაიამა ცდილობდა დაემატებინა, დევისი ბურთი ფეხიდან ააცალა და კუთხურზე გადააგდო.

62. ნარაიამას ჩაწოდებულზე ჰირანოს მძლავრი თავური ლოურენსმა ნახტომში კუთხურზე გადააგდო.

75. სომამ ჩააწოდა, ლოპესმა თავით ნაკაიამას გადასცა, რომელმაც ვარდნაში ერთი ბურთი გაქვითა.

81. უოლტერ ბოიდის ძლიერად გასროლილი ბურთი კამაგუჩიმ ნახტომით ცხრიანიადან მოხსნა და კუთხურზე გადააგდო.

87. უიტმორი შორიდან ცდილობდა გოლის გატანას, კავაგუჩიმ მესამედ შეუშალა ხელი.

89. ლოპესი თავით აპირებდა დარტყმას, მაგრამ სიმპსონმა არ აცალა.

90. შინჯი ონოს ქუსლით გაგორებული ბურთი ლოპესმა ძლიერად, არაზუსტად დაარტყა.

**მატჩი №49. იტალია — ნორვეგია. მარსელი. 18³⁰**

# გოლი დაბადების დღისთვის

მერვედფინალების დროც მოვიდა. გაილია ორკვირანახევარი და ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობაც განახევრდა. რამდენიმე დღეში მათი რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება, მერე, 12 ივლისს კი ის ერთი გუნდი გაირკვევა, მსოფლიოს ჩემპიონის სახელს რომ მოიხვეჭს. თითქმის ხუთკილოიანი ოქროს თასიც მისი საკუთრება გახდება, მანამდე კი გუნდებს ბრძოლა მოუწევთ.

პირველი ეტაპი, ანუ ჯგუფური ტურნირი იტალიამ და ნორვეგიამ დაუმარცხებლად გაასრულეს, მაგრამ თუ იტალიამ ორი მეტოქის დამარცხება შესძლო, ნორვეგიამ ორი შეხვედრა ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთი მოიგო, თუმცა ეს ერთი გამარჯვება ხომ ყველაფერს გადასწონის — ეგილ ოლსენის ბიჭებმა ვინმე სხვა კი არა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი ბრაზილია დაამარცხეს 2:1. მერვედფინალში კი კიდევ ერთი მეტოქე, კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი, ოღონდ სამგზის — იტალია. ვერაფერს იტყვი, რთულზე რთული შეხვედრა იქნება.

რა შეიძლება ითქვას ამ ნაკრებებზე? მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშევმა სამმა თამაშმა დაგვანახა, რომ ნორვეგიაც და იტალიაც საკმაოდ ძლიერი გუნდია. მიუხედავად იმისა, რომ „სკუადრა ადზურა" ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, საეჭვოა, რომ მათ სკანდინავიური ბარიერი იოლად გადალახონ. რაც უნდა იყოს, ნორვეგია ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არაა, ამას ისიც დაემატა, რომ ნორვეგიელები ახლა უფრო მეტისთვის იბრძოლებენ, აქედან გამომდინარე კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამდვილად დაძაბული ბრძოლა იქნება. წინასწარ ვერ იტყვი, იტალია გაიმარჯვებს თუ ნორვეგია. თამამად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გუნდი, რომელიც ამ წყვილიდან მეოთხედფინალში გავა, ამის ღირსი იქნება. შეუძლებელია უღირსმა გუნდმა შემთხვევით, დაუმსახურებლად გააღწიოს შემდეგ წრეში.

სანამ ტორე ანდრე ფლო ბრაზილიელებს გაუყაიმებდა, მერე კი დაუმსახურებელ პენალტსაც დასტყუებდა ამერიკელ მსაჯს, მანამდე იტალიელები სამერვედფინალო მეტოქედ მაროკოს მიიჩნევდნენ, თუმცა გაიტანა რეკდალმა პენალტი და „სკუადრა ადზურასაც" ნორვეგია შეხვდა.

— ნორვეგია მართლაც კარგი გუნდია. ცხადია, როგორც ყველა მწვრთნელს, მეც ჩემი აზრი მქონდა იმაზე, თუ ვინ მიაღწევდა მერვედფინალს. ზოგი გამიმართლდა, ზოგიც არა, თუმცა იმას კი დანამდვილებით გეტყვით, რომ ნორვეგიელების შემდეგ წრეში გასვლა არც კი მეეჭვებოდა. ის კი არა, თავიდანვე ვფიქრობდი, რომ მერვედფინალში ჩვენი მეტოქე სწორედ ეგილ ოლსენის გუნდი იქნებოდა — განაცხადა იტალიელთა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ, შემდეგ კი სკანდინავიელებზე თავისი აზრი უფრო განავრცო — მეტოქე სახიფათოა გვერგო, თუმცა თუ ძლიერი ხარ, ეს ყველასათან უნდა დაამტკიცო. ნორვეგია კი არა, ვინც უნდა იყოს, ჩვენ გამარჯვებისთვის, მთლიანობაში კი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძოლებთ. მეტოქის რამდენიმე თამაში ვიხილე და მათ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მეტიც, გუნდის უკეთ შესწავლის მიზნით ბრაზილია-ნორვეგიის თამაშზე თანაშემწე გავაგზავნე. ჩვენ ბრძოლის ხერხები შემუშავებული გვაქვს, როგორ გამოვიყენებთ, ამას მატჩი დაგვანახებს.

მალდინი ოპტიმისტურადაა განწყობილი. თუმცა, არც ფეხბურთელები არიან ცუდ გუნებაზე.

— საერთოდ, როგორც წესი, წინასწარ არაფერს ვამბობ. ადრე ეს ხშირად გამიკეთებია, მაგრამ ნაფიქრი არ ამსრულებია. ამიტომ ამჯერად ზოგადად ვისაუბრებ. მეტოქე რომ ძლიერია, ამას თქმა არ უნდა, შეხვედრაც რომ ბოლომდე დაძაბული იქნება, ესეც ლოგიკურია. ჩემი აზრით, ხვალინდელ მატჩში ბევრი გოლი არ გავა. ჩვენს გამო თავისთავად და ნორვეგიელებიც ხომ დაცვის მოყვარული გუნდია. რაც შეეხება გამარჯვებულს, ვფიქრობ, ძლიერი მოიგებს — მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელთა მესამე გოლის ავტორმა ლუიჯი და ბიაჯომ პროგნოზისგან თავი შეიკავა.

გულშემატკივრები მაქსიმალისტი ხალხია. მათ ძალიან აინტერესებთ, რას ფიქრობს გუნდი, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მისგან მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას მოელის. იტალია წლეულს აუცილებლად მსოფლიო ჩემპიონი უნდა გახდეს. ასეთია საფრანგეთში ჩასული, თუნდაც იტალიაში დარჩენილი „ტიფოზების" აზრი.

ჩეზარე მალდინის გუნდი ფავორიტად კი ითვლება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აპენინელები იტალიელებთან მოიგებენ. შორეულ 1991 წელს, მაშინ, როცა დონ ჩეზარე ახალგაზრდულ „სკუადრა ადზურას" თავკაცობდა, გუნდი სტავანგერში ნორვეგიელებს ხვდებოდა. მიუხედავად სტუმრად თამაშისა, გამარჯვებას იტალიელებს უწინასწარმეტყველებდნენ, ამ დროს კი, იცით, რა მოხდა? - დამხვდურებმა ცხვირაბზუებული სტუმრები მიწასთან გაასწორეს, 6:0 გაანადგურეს. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში ახლა უკვე ყველასთვის ცნობილი დემეტრიო ალბერტინი და დინო ბაჯოც თამაშობდნენ. იმ წაგებამ იტალიის ახალგაზრდულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი მოუსპო.

საერთოდ, 90-იანი წლების დასაწყისში ნორვეგია იტალიისთვის საკმაოდ უხერხული მეტოქე იყო. ახალგაზრდებზე ხომ ვთქვით, იმავე წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ნორვეგიამ 2:1 დაამარცხა იტალია, ეს უკანასკნელი კი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდა.

ოთხი წლის წინ, აშშ-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალია ნორვეგიას დაუპირისპირდა. ის თამაში არიგო საკის რჩეულებს აუცილებლად უნდა მოეგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტურნირს დაემშვიდობებოდნენ. „სკუადრა ადზურამ" მართლაც დაამარცხა ვიკინგთა ნაკრები, მაგრამ გამარჯვებას სანამ მიაღწევდა, გვარიანად ინერვიულა. მატჩის დაწყებიდან სულ რაღაც 21 წუთი იყო გასული, მეკარე ჯანლუკა პალიუკა რომ გააძევეს, საკიმ კი იტალიელთა ლიდერი რობერტო ბაჯო გამოცვალა და მეკარე ლუკა მარკეჯანი შეუშვა. რისკმა გაამართლა, იტალიამ მერვედფინალს უწია.

— იმედია, ახლა ასე აღარ მოხდება. ჩვენ უნდა მოვიგოთ, ჯერ კიდევ ვერ მომინელებია, ოთხი წლის წინანდელი წყენა. 12 ივლისს იტალიამ ოქროს თასი უნდა ჩაიბაროს, სხვანაირად, უბრალოდ, არ გამოვა — ნორვეგიელებთან ზემოხსენებულ შეხვედრაში გაძევებული ჯანლუკა პალიუკა ჩინებულ ხასიათზეა.

იტალიელთა განწყობაზე მეტ-ნაკლებად შეგვექმნა აზრი, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ სკანდინავიელები.

„გუნდი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატს ოთხჯერ მოიგებს, სჯობს იმას, იგივე ტურნირი სამჯერ რომ მოუგია. აქედან გამომდინარე, თუ ნორვეგიამ ბრაზილიას სძლია, რატომ უნდა გაუჭირდეს იტალიის დამარცხება?" — ხუმრობით იკითხა „ოსლო ბენგერუნდმა" (გაზეთია), მერე კი სერიოზულად დასძინა, მართალია, მეტოქედ „სკუადრა ადზურა" გვერგო, მაგრამ იმედია, ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობას ფიზიკური მომზადებაც შეერწყმება, ეს კი გამარჯვების საწინდარი იქნებაო.



დღეს ტორე ანდრე ფლოს დის დაბადების დღეა. ძმა მას შესანიშნავ საჩუქარს უმზადებს

სარბიელის არქივიდან

— მე, როგორც თავდამსხმელს, თითქოს იტალიელ მცველებთან ბრძოლა უნდა გამიჭირდეს, მაგრამ რას ნიშნავს „უნდა"? ყველა ამბობს, რომ მათი დაცვა მსოფლიოში უძლიერესია. განა ამ ქვეყნად მჯობნის მჯობნი დაილია? შევეცდები, დავამტკიცო, რომ ჩემი სახით არიან თავდამსხმელები, ურთულეს წინაღობასაც რომ დაძლევენ. მე გოლს გავიტან, ერთს თუ ორს, ეს თამაშის დროს გამოჩნდება. 28 ივნისს ჩემი დის დაბადების დღეა. ძალიან მინდა, მას საჩუქარი მივუძღვნა — ნორვეგიელთა უპირველესი თავდამსხმელი ტორე ანდრე ფლო გოლის გატანას გვპირდება, ვნახოთ. დაბადების დღეებს რაც შეეხება, გუშინ, 26 ივნისს, იტალიელთა კაპიტნის პაოლო მალდინის დღეობა იყო. იგი 30 წლის გახდა.

მოკლედ, დღეს მარსელში, ბრწყინვალე „ველოდრომზე", მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატის პირველ მერვედფინალში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იტალია ძლიერთა ამა ქვეყნისად რისხვადქცეულ ნორვეგიას შეხვდება. სწორედ მარსელში დაამარცხა ნორვეგიამ ბრაზილია. ვნახოთ, დღეს რა იქნება. ისე, ნორვეგია მსოფლიოს ჩემპიონატებზე მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა და ორჯერვე იტალიასთან.

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობები**

**იტალია:** პალიუკა, ბერგომი, კოსტაკურტა, მალდინი, კანავარო, პესოტო, დინო ბაჯო, დი ბიაჯო, მორიერო, დელ პიერო, ვიერი

**ნორვეგია:** გროდასი, ბერგი, ეგენი, იონსენი, ბიორნებიუ, ჰავარდ ფლო, ლეონარდსენი, რეკდალი, რისეტი, სტრანდი, ტორე ანდრე ფლო

**ლაშა გოდუაძე**

# მათ 89-ის მერე არ შეხვედრიათ

მერვედფინალი უსაგნო თამაში არ გეგონოთ. ეს ნორვეგიასთან, ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრა წააგეს ბრაზილიელებმა, თორემ განა დღესაც ისე უგულოდ ითამაშებენ. ნორვეგიელებთან შეხვედრა როგორ დამთავრდებოდა მსოფლიოს ჩემპიონთათვის, სულერთი იყო, ისედაც გასულები იყვნენ ჯგუფიდან. მერე რა, რომ ბრაზილიელთა უგულობამ მაროკოს ვაჟკაც გუნდს გაუფუჭა საქმე, აბა მაროკოს გულისთვის ერთ თვეზე გასანაწილებელ ენერგიას უყაირათოდ ხომ არ დახარჯავდნენ. მერე რა, რომ ერთი წლის წინ ნორვეგიელებთან ამხანაგური თამაში წააგეს და სადღაც გულის სიღრმეში ანგარიშის გასწორება სურდათ, ალბათ იფიქრეს, შურისძიებას სხვა დროსაც მოვასწრებთო. მარიო ზაგალომაც ჯერ დასცინა თავის კოლეგას, ეგილ ოლსენს, მისმა ბიჭებმა ანგარიში რომ გახსნეს, რაღაც ჟესტებიც აჩვენა, მაგრამ მერე ორი გოლი რომ გაუშვეს, იხტიბარი არ გაიტეხა და პრესკონფერენციაზე თქვა, მოგებას რა თავში ვიხლიდითო.

მოკლედ, ყველაფერი პრაქტიკულად, საქმისთვის სასარგებლოდ მოხდა. იქნებ ვინმემ თქვას, სხვას რომ საქმეს გაუფუჭებ გადაგეხდებაო ან თუ მოგების შნო არ გქონდა, რას იმუქრებოდიო, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ ბატონებო, ობიექტურად ბრაზილია ძალიან ძლიერი გუნდია და წიწილებსაც შემოდგომაზე ითვლიან. ამ ნათქვამს ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ბრაზილია აუცილებლად მსოფლიოს ჩემპიონი გახდება და სხვებს ნიშნს მოუგებს, უბრალოდ წიწილები 12 ივლისის ღამეს უნდა დავთვალოთ.



ზაგალო ზიკოს ენერგიის რაციონალურად ხარჯვაზე ესაუბრება

სარბიელის არქივიდან

ბრაზილია ბრაზილიად, მაგრამ მერვედფინალში მას მოწინააღმდეგეც ხომ ჰყავს. იგია ჩილეს ნაკრები, სა-სას ანუ ივან სამორანოს და მარსელო სალასის გუნდი. დღეს სა-სა რონალდოს წინააღმდეგ წარსდგება.

როგორც ამბობენ, დღევანდელ თამაშში დაპირისპირებული ორი სამხრეთამერიკული გუნდი, ძლიერი თავდასხმითა და შედარებით სუსტი დაცვით გამოირჩევა. იმასაც ამბობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ამ საღამოს პირვანდელ შემადგენლობას ათამაშებს და არა იმას, ნორვეგიელებთან რომ ჰყავდა მოედანზე.

ბრაზილიელ გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ მათი გუნდის დაცვა თავს გაართმევს სამორანო — სალასის დუეტთან ბრძოლას, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რონალდო კი ჯერჯერობით გატანილ ერთადერთ გოლს სულ მცირე, მეორეს მაინც მიამატებს.

მარიო ზაგალოს თქმით, ნახევარმცველ-მცველი სეზარ სამპაიო, რომელმაც ნორვეგიასთან ტრავმის გამო ვერ ითამაშა, ჯანზეა და ჩილელებს მას რომ ეხერხება, ისეთ ბრძოლას გაუმართავს. შესაბამისად შემტევი ნახევარმცველი დენილსონი კვლავ სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება. მოედანს დაუბრუნდება წინა შეხვედრაში მეორე ყვითლის შიშით დასვენებული ალდაირიც, რომელიც დაცვაში ჟუნიორ ბაიანოს შეუწყვილდება.

დენილსონისთვის მაინც არის ერთი შანსი. ბოლო მატჩის შემდეგ ბებეტო ბარძაყის ჩხვლეტებს უჩიოდა და თუ ვერ შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა, მაშინ მის ადგილს ალბათ, სწორედ დენილსონი დაიკავებს.

ჩილელებს სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ჰყავთ შესაცვლელი:

**მატჩი №50. ბრაზილია — ჩილე. პარიზი. 23⁰⁰**

მარჯვენა მცველი მოისეს ვილაროელი, მარცხენა მცველი ფრანსისკო როხასი და დაცვის დამხმარე ნახევარმცველი ნელსონ პარაგესი. მათ კამერუნთან შეხვედრაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღეს.

ამბობენ, რომ ჩილეს მწვრთნელი ნელსონ აკოსტა ვილაროელს ფერნანდო კორნეხოთი შეცვლის, როხასს მაურისიო აროსით, ხოლო პარაგესს ან მიგელ რამირესით ან კიდევ ლუის მუსრით.

„ჩილე ტაქტიკას არ შეცვლის, კორნეხო ზუსტად იმას გააკეთებს, ვილაროელი რომ აკეთებდა, აროსი კი როხასის პოზიციაზე ითამაშებს" — განაცხადა გუნდის წარმოშობით ურუგვაელმა მწვრთნელმა, რომელმაც ჩემპიონატის წინ გამოცხადებულ მიზანს, მერვედფინალს უკვე მიაღწია.

მან დასძინა: „ბრაზილიის ნაკრებს უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ წაგებას შეგუებულნი გავალთ მოედანზე. ჩვენ მეტის მიღწევა გვწყურია".

ზაგალო დღეს იოლ თამაშს არ ელის. იგი ამბობს: „ძალიან ძნელი შეხვედრაა მოსალოდნელი. ვერ გეტყვით, რას აპირებს მოწინააღმდეგე, შეცვლის თამაშის მანერას თუ არა".

ალბათ, ზაგალომ ის იგულისხმა, რომ ბრაზილიის წინააღმდეგ შეტევის მოყვარული გუნდი შეიძლება დაცვაზე გადაერთოს.

სა-სას სამ თამაშში სამი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ სამივე ერთმა სამ, მარსელო სალასმა გაიტანა, ივან სამორანოს კი ჯერ კიდევ მოსაკვლელი აქვს გოლის წყურვილი. ჩილელთა წარმატება მნიშვნელოვანწილად სწორედ სამორანოს თამაშზე გახლავთ დამოკიდებული.

ისტორიის წიგნიდან: ბრაზილიის და ჩილეს ნაკრებებმა, ერთმანეთში სულ 53-ჯერ ითამაშეს, აქედან 37 შეხვედრაში ბრაზილიამ გაიმარჯვა.

გუნდებმა გასულ წელს ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარეს, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონებმა 4:0 იმარჯვეს. იმ მატჩში ორ-ორი გოლი გაიტანეს რომარიომ და რონალდომ.

რაც შეეხება „პარკ დე პრენსის" გარე პროგნოზს, აქ გულშემატკივართა შორის შეტაკებები მოსალოდნელი არ არის. ამ გუნდების თამაშებიდან ყველაზე სკანდალური 1989 წელს იყო, „მარაკანაზე" მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი რომ გაიმართა. მაშინ, მეორე ტაიმში ჩილელებმა მოედანი დასტოვეს. ეს იყო პროტესტი.

შეგახსენებთ: მეორე ტაიმში ტრიბუნიდან, ჩილეს გოლკიპერის რობერტო როხასის საჯარიმოში რაღაც ასაფეთქებელი პაკეტი ჩააგდეს. როხასი გასისხლიანდა. ცხადია, საქმე ფიფამ გაარჩია და დაადგინა, რომ ჩილემ თავად მოაწყო პროვოკაცია, რადგან წაგება არ აწყობდა. როხასი, რომელსაც სისხლი იმიტომ მოსდენია, რომ სახეზე ხელთათმანში დამალული სამართებელი დაუსვამს, საერთოდ მოკვეთეს ფეხბურთიდან.

დღეს როხასი ბრაზილიური „სან პაულუს" ერთ-ერთი მწვრთნელია.

დღეს მერვედფინალში ბრაზილია ჩილეს ეთამაშება.

ამ ქვეყნების ნაკრებთა ისტორიაში კიდევ იყო ერთი ჩხუბი. ეს 1990 წლის შესარჩევის პირველი შეხვედრის დროს მოხდა სანტიაგოში. ამის შემდეგ რიოში ჩასულ ჩილელებს მასპინძლებმა სასტუმრო არ გამოუყვეს. მერე კი ის ამბავი დატრიალდა, ასაფეთქებელი პაკეტითა და სამართლით.

დღეს იმ მატჩის მონაწილე სამი ფეხბურთელი იქნება პირიზელ პრინცთა მინდორზე. სამივე ბრაზილიელია: ტაფარელი, დუნგა და ბებეტო.

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობები**

**ბრაზილია:** ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, დუნგა, რივალდო, ლეონარდო, რონალდო, ბებეტო

**ჩილე:** ტაპია, ფუენტესი, მარგასი, რეიესი, კორნეხო, რამირესი (ან მუსრი), აკუნია, სიერა, აროსი, სამორანო, სალასი

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატის დღიური

**25 ივნისი**

ლაშა გოლუაძე

# ცრემლები

### სიხარულისა

— თქვენ არც კი იცით, რამხელა სიხარულია, როდესაც თითქმის წაგებულ შეხვედრას შემოატრიალებ, გადაარჩენ. დამერწმუნეთ, ასეთი რამ იშვიათად შეიძლება განიცადო ადამიანმა და მაშინვე მიხვდები, რომ წამი, რომელსაც ეს-ესაა გაუსინჯე გემო, ცხოვრებაში იშვიათად დგება. ჩემთვის ეს დაუვიწყარია. პირადად მე მუდამ მემახსოვრება, რომ იქ, საფრანგეთის უბრწყინვალეს მინდვრებზე შევძლი გოლების გატანა, იმ ბურთებისა, რომლებმაც ჩვენს გუნდს მერვედფინალში თამაშის უფლება მოუტანა — მექსიკელთა უპირველესი ბომბარდირი ლუის ერნანდესი ერთ წუთში, როცა ჰოლანდიელებს ანგარიში გაუყაიმა, ეროვნულ გმირად იქცა, თუმცა მას დიდება და სახელი არც მანამდე აკლდა.

...1992 წლის ზაფხულში „კოპა ამერიკაზე" საგანგებოდ მოწვეული მექსიკის ნაკრების ქერათმიანმა თავდამსხმელმა, სახელად ლუის ერნანდესმა გაიბრწყინა. მან ხუთი შეგდებული გოლით იმ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის სახელი დაიგდო. მას შემდეგ თუ მექსიკელ ფეხბურთელებზე საუბრობენ, ლუის ერნანდესს ახსენებენ. სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში ლუის ერნანდესის სახელი ელვის სისწრაფით მოედო მექსიკას, დღესდღეობით კი იგი ყველგანაა ცნობილი, სადაც კი ფეხბურთზე საუბრობენ.

ლუის ერნანდესი კი არა, მთელი მექსიკის ნაკრები, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, უკვე იქცა ტურნირის აღმოჩენად. მექსიკელები, უეჭველია, თავიანთ საუკეთესო ჩემპიონატს თამაშობენ და არაა გამორიცხული, მერვედფინალში ბერტი ფოგთსის ბუნდესნაკრებიც დაამწუხრონ. მანამდე ჯერ ადრეა, ხოლო ის, რაც მათ ჰოლანდიასთან და ბელგიასთან მოახერხეს, თუნდაც კორეასთან, ნამდვილი გმირობაა და მეტი არაფერი. ეს იყო ერთიანი სულის, მებრძოლი ხასიათის გამოვლინება, სწორედ იმისა, რაც ასე ძალიან აკლდა აწ უკვე გავარდნილ რამდენიმე გუნდს.

აქამდე ვფიქრობდი, რომ წაგებული შეხვედრის გადარჩენა მხოლოდ გერმანელებს შეეძლოთ. უამრავჯერ მომხდარა, გერმანელებს საოცარი მატჩები გადაურჩენიათ, ბევრი რომ ხელს ჩაიქნევდა, ისეთი. ახლა საფრანგეთში მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ რაც არ უნდა დიდ უპირატესობას ფლობდე, მცირედი ყურადღებითაც კი დაღუპვამდე მიგვიყვანს. გერმანიასთან მოდუნება არ ეგების.

მექსიკელებმა თითქოს გერმანიისგან აიღეს მაგალითი, სამი შეხვედრა გადაარჩინეს, ასეთი რამ კი მსოფლიოს ჩემპიონატის არც ერთ მონაწილეს არ გაუკეთებია.

პირველი შეხვერა იყო და მანუელ ლაპუენტეს ბიჭები 0:1-ს აგებდნენ კორეელებთან. ის შეხვედრა მაინც მექსიკელთა გამარჯვებით დასრულდა — მათ მატჩის დასასრულამდე სამი გოლი გაუტანეს აზიელებს, პრესა კრიტიკულად გამოეხმაურა, თუმც ისიც აღნიშნეს, ჩამორჩენილები იყვნენ და რომ არა შემართება, ვინ იცის, ეგებ კიდეც დამარცხებულიყვნენ.

„საინტერესოა, რა მოხდებოდა, ანგარიში ჩვენ რომ გაგვეხსნა, მოვიგებდით კი? — იკითხა „მეხიკოს უნიტოსმა", მერე კი დასძინა — კორეელებთან კი გაგვიმართლა, მაგრამ ბელგიასთან და ჰოლანდიასთან გვაქვს სათამაშო, იქ კი ასეთ შეცდომებს არავინ გვაპატიებსო.

როგორც შემდეგ გამოჩნდა, სხვისი საპატიებელი მექსიკელებს არაფერი სჭირდათ. ბელგიელებთან მათ ბრწყინვალე მეორე ტაიმი ითამაშეს, ორბურთიანი ჩამორჩენაც გააბათილეს და ქულასაც დაეუფლნენ. ჰოლანდიელებთან კი გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, ულამაზესი მეორე ტაიმი აჩუქეს გულშემატკივრებს. გარდა ამისა, კვლავ გაუყაიმეს მეტოქეს, რის წყალობითაც მერვედფინალს უწიეს.

...შეხვედრა იწურება. მსაჯი სადაცაა შეხვედრას დაასრულებს. კვატემოკ ბლანკო კი მეორედ იღებს ვან დერ სარის კარს და ანგარიშს აყაიმებს. გვერდით მსაჯს ალამი აღუმართავს. რა ხდება? — თანამსაჯს თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირებია და საუდელი არბიტრი აბდელ რახმა ალ ზაედიც შესაბამისად იქცევა — გოლი არ ითვლება. მექსიკელებმა აქ ასეთი დაძაბული მატჩის კულმინაციურ მომენტში მიზანს ვერ მიაღწიეს. ამ დროს ბევრი სულიერად დაეცემოდა, მაგრამ არა მექსიკელები. გადის კიდევ ერთი წუთი და ჰოლანდიელთა საჯარიმოში იაპ სტამთან მოპაექრე ლუის ერნანდესი მსოფლიოს უძვირფასესი მცველის შეცდომით ხეირობს — ბურთს ჭვინტს ურტყამს და გოლი გააქვს. სენტ ეტიენის „სტად ჟოფრუა გიშარის ის ტრიბუნა, რომელზეც მექსიკელები შეყრილან, ლამისაა ჩამოიქცეს — მექსიკა მერვედფინალშია! მექსიკა მერვედფინალშია! — ყვირიან სიხარულისაგან გაგიჟებული და აცრემლებული გულშემატკივრები.

იმ საღამოს უკლებლივ ყველა მექსიკელი გულშემატკივარის თვალებზე ცრემლს შენიშნავდით. ეს სიხარულის ცრემლი იყო, ის ცრემლი, რომლის გამოჩენაც კაცებსაც არ ეთაკილებათ.

— ჩვენ გავიმარჯვეთ! მექსიკა მერვედფინალშია! — კიდევ კარგი, მექსიკელები ინგლისელები არ არიან; თორემ გაუძლებდა მათ სენტ ეტიენი? ალბათ, ვერა. ხარობდა მეხიკო, მთელი მექსიკა, მიზეზი კი ნამდვილად იყო — გუნდმა მერვედფინალს უწია, იქ კი გერმანიას შეხვდება. იმ დღეს მექსიკელებს სულაც არ აინტერესებდათ, რომ მორიგი მეტოქე გერმანია იყო. იმ დღეს მთავარი ის გახლდათ, რომ გუნდი მერვედფინალში ითამაშებს, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მექსიკელთათვის უდიდესი ზეიმი კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

— პირველი ამოცანა შევასრულეთ. გუნდი მერვედფინალში გავიდა. ამ ეტაპს კი ხუმრობად ნუ ჩავთვლით. ბევრისთვის იგი მიუღწეველი აღმოჩნდა. მაგრამ არა ჩვენთვის. მექსიკას შეუძლია, თავის წარმატებით იამაყოს. მას ნამდვილად კარგი გუნდი ჰყავს. მით უმეტეს, კარგი ფეხბურთელები. ახლა, როცა ურთულესი შეხვედრები იწყება, ჩვენთვის მთავარი იქნება, რაც შეიძლება შორს წავიდეთ. წინა ტურნირზე ნაკრებს მერვედფინალში მოეცარა ხელი, იმედია, ახლა ასე არ მოხდება — მექსიკელთა თავკაცი მანუელ ლაპუენტე გახარებული ჩანდა.

მართლაც, მექსიკელები 1994 წელს მერვედფინალში გამოეთიშნენ ჩემპიონატს. ძირითად და დამატებით დროში ბულგარეთმა მათი დამარცხება ვერ მოახერხა 1:1, შემდეგ კი საფეხბურთო ლატარეა, იგივე პენალტები, რომელსაც გამარჯვება ბულგარელთათვის მოაქვს. სხვათა შორის, ის მატჩი მექსიკელებს რომ მოეგოთ, გერმანელებს დაუპირისპირდებოდნენ. მაშინ შეხვედრა არ შედგა. ახლა კი გერმანია და მექსიკა კვლავ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ.

ჯერჯერობით მექსიკელთა უდიდეს მიღწევად მეოთხედფინალში თამაში ითვლება. ცენტრალური ამერიკის ყველაზე დიდი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამ ეტაპს ორჯერ უწია — 1970 და 1986 წლებში, მაშინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი გახლდათ. 1970-ში მექსიკა იტალიასთან განადგურდა 1:4, 1986-ში კი ისინი გერმანიამ დაამარცხა მატჩის შემდეგ პენალტების სერიაში 1:4.

ახლა კვლავ გერმანია. არასასიამოვნო იქნება კვლავ დამარცხება იმათთან, ვინც ერთხელ უკვე გძლია.

— ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. გერმანელები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. სხვანაირად არ იქნება! — ამბობს ერნანდესი და გუნდის საბრძოლოდ განწყობას ცდილობს.

მექსიკა-გერმანია, გნებავთ გერმანია-მექსიკა — ბრძოლა აქ იქნება, თუ იქნება. სამხრეთამერიკელებს იმედი აქვთ, რომ ურთულეს მოწინააღმდეგეს ჩამოიშორებენ. იმედი აქვთ, რომ თვალებში კიდევ ერთხელ მოადგებათ სიხარულის ცრემლი!

### მწუხარებისა

სიხარული არ არსებობს მწუხარების გარეშე. ასე რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობას სიხარულის ფასიც არ ეცოდინებოდა.

გახარებულ გუნდზე, ქომაგებზე ზემოთ საკმარისად ვისაუბრეთ, ახლა კი მეორე მხარეზე, ანუ დამწუხრებულებზეც ვთქვათ.

ასეთი ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე საკმარისად იყო. თავიდან ყველას უხაროდა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა. მერე ზოგი დამწუხრდა. ჯგუფური ტურნირების დასასრულს კი ზოგმა ლამის იყო, ცრემლი დაიშრო.

დამწუხრებულთა შორის ამჯერად ოთხ გუნდს დავასახელებთ: ესპანეთს, მაროკოს, ბელგიასა და ავსტრიას.

ოთხივეს ბედი ბოლო შეხვედრებში წყდებოდა, თუმცა, თუ ავსტრიელების მარცხს მეტ-ნაკლებად შეგუებული იყო მთელი მსოფლიო, ესპანეთის, მაროკოს და ბულგარეთის ბედი ბოლო წამებამდე გაურკვეველი რჩებოდა.

გაჰქონდა და გაჰქონდა ესპანეთს გოლები, არანაკლებ ირჯებოდა მაროკოც. საწყის წუთებში უხაროდათ ესპანელებს, უხაროდათ მაროკოელებსაც, ბელგიელებიც ხარობდნენ, მაგრამ ნელ-ნელა სიხარული მწუხარებამ შეცვალა.

ესპანეთი მერვედფინალში რომ გასულიყო, ნიგერიას პარაგვაისთან არ უნდა წაეგო. პირიქით მოხდა — აფრიკელებმა წინააღმდეგობაც კი არ გაუწიეს სამხრეთამერიკელებს და მათაც 3:1 მოიგეს. შესაბამისად ესპანელები განზე დარჩნენ.

მაროკო რომ მეორე ეტაპზე აღმოჩენილიყო, ნორვეგიას ბრაზილიისთვის არ უნდა მოეგო. აქაც პირიქით მოხდა — სკანდინავიელებმა სენსაცია მოახდინეს — ბოლო ათ წუთში ორი გოლი გაუტანეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს და მაროკო — შოტლანდიის მატჩს ყოველგვარი აზრი დაუკარგეს. აფრიკელებმა 3:0 კი დაამარცხეს სქოთი მეტოქე, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს ნიშნავდა. ანრი მიშელს გუნდი უკან სამშობლოში გაემგზავრა.

ბელგიას 1970 წლის შემდეგ პირველად დაემუქრა ჯგუფიდან ვერგასვლის საფრთხე, რაც მალე რეალობად იქცა — „წითელმა ეშმაკუნებმა" კორეელთა წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს, ეს კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა მათ გზა მექსიკელთათვის დაეთმოთ.

ამ გუნდებმა, როგორც იტყვიან, ვადაზე ადრე დატოვეს ჩემპიონატი. ვინ იცის, ეგებ ისინი ოთხი კი არა, მეტი წლითაც გამოეთხოვნენ მსოფლიოს ჩემპიონატს. ძნელია იმის თქმა, დაუბრუნდებიან თუ არა ისინი 2002 წელს. დანამდვილებით იმის თქმა შეიძლება, რომ ესპანეთშიც, მაროკოშიც, ბელგიაშიც და ბევრ სხვა ქვეყანაშიც ხალხს გული სტკიოდა, ცრემლი სდიოდა...



სარბიელის არქივიდან

აცრემლებული მაროკოელი ქომაგი — ეს-ესაა, მარსელში ნორვეგიელთა ზეობის ამბავი შეიტყო



სარბიელის არქივიდან

მიწას განრთხმია სოლ კემპბელი — რუმინეთთან მატჩის შემდეგ ამნაირად ბევრ ინგლისელ ფეხბურთელს ნახავდით



სარბიელის არქივიდან

ბელგიელთა მეკარე ფილიპ დე ვილდემ ჩემპიონატისგანაც დაისვენა

# მექსიკას თურმე უფალმა გადმოხედა



მექსიკურად „მოლხენამ“ როიტერის კორესპონდენტიც აზარალა

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებიდან ორ კვირაზე მეტი გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ტურნირმა თავისი ეკვატორი გადალახა და ახლა გულშემატკივრები თუ ფეხბურთის სპეციალისტები ყველაზე საინტერესო სანახაობის მოლოდინში არიან. წინ ხომ მერვედფინალებია! ჯგუფებში ჩატარებულ მატჩებზე კი რა შეიძლება ითქვას? როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიკვეთნენ ისეთი ნაკრებები, რომლებიც ჩემპიონობაზე თუ არა, პირველ ოთხეულში მოხვედრაზე მაინც აცხადებენ პრეტენზიებს. იყვნენ სუსტი გუნდებიც, უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე ოდენ მონაწილეობითაც კმაყოფილი რომ არიან და შემდეგ ეტაპზე გასვლა საოცნებოდ თუ აქვთ. ამას გარდა, რაც ყველაზე მთავარია, გამოჩნდნენ წლევანდელ ჩემპიონატზე სენსაციის მომხდენი გუნდებიც, რომელთა მერვედფინალში გაღწევას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. მიხვდით ალბათ, საუბარი ძირითადად პარაგვაისა და მექსიკის ნაკრებებზე გვაქვს, თუმცა ამჯერად ამ უკანასკნელებზე გავამახვილებთ ყურადღებას. მექსიკელები E ჯგუფში ასპარეზობდნენ ჰოლანდიელებთან, ბელგიელებთან და კორეელებთან ერთად. ჩემპიონატის დაწყებამდე პროგნოზების მოყვარულთა აზრები მაინც იქითკენ იხრებოდა, რომ შემდეგ წრეში ადგილის დაჯავშნას სწორედ ევროპელები შეძლებდნენ და აზიელებს მექსიკელებთან ერთად შინ ნაადრევად გაისტუმრებდნენ. მაგრამ თავად მექსიკელები ასე როდი ფიქრობდნენ. ამ გუნდმა ნამდვილი ვაჟკაცური თამაში აჩვენა და სრულიად დამსახურებულად დაიკავა ჯგუფში მეორე ადგილი. მხოლოდ იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, რომ სამივე შეხვედრაში ისინი მეტოქეს დაწინაურების საშუალებას აძლევდნენ და შემდეგ უდიდესი ძალისხმევის ფასად ახერხებდნენ თამაშის ბედის შემობრუნებას. და თუ კორეასთან 0:1 წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ ამერიკელებმა მეორე ნახევარში სამი გოლი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილ მეტოქეს გაუტანეს, ჰოლანდიელებთან და მექსიკელებთან 0:2 ჩამორჩენის გაქვითვა ნამდვილად დიდ სენსაციად უნდა ჩავთვალოთ. კაცებიც ესენი ყოფილან და ქუდიც ამათ ხურებიათო — იტყვის მავანი და მართალიც იქნება. მექსიკელებმა მართლაც გმირობის ტოლფასი საქმე ჩაიდინეს, რომლის დაუნახაობაც დიდი უმადურობა იქნება.

საფრანგეთში მთავარი მწვრთნელის მანუელ ლაპუენტეს ქვეშევრდომები შესაშური თავდადებით ირჯებიან. მათგან უკვე შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის ნამდვილ აღმოჩენად იქცნენ. უპირველესად ეს ლუის ერნანდესსა და კვატემოკ ბლანკოს ეხებათ. ეს ფეხბურთელები, რომლებსაც რამდენიმე კვირის წინ ცოტა ვინმე თუ იცნობდა, დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცნენ და დიდი თუ პატარა მათ სიძლიერეზე საუბრობს. ქერათმიანი ერნანდესი ხომ სამი გატანილი გოლით ჩემპიონატის უპირველეს ბომბარდირებს შორის მოხვდა. ახლა იმას აღარ იკითხავთ, როგორ შეხვდნენ თავიანთი საყვარელი ნაკრების მერვედფინალში გასვლას მექსიკაში? ალბათ, შეუძლებელია, სიტყვებით გადმოსცე ის რეაქცია, რომელიც ამერიკელების წარმატებას მოჰყვა. ხუთშაბათ საღამოს გულშემატკივრები თავიანთ ტელევიზორებს იყვნენ მიჯაჭვულნი და გული არაბუნებრივად უფანცქალებდათ. მექსიკა — ჰოლანდია და ბელგია — კორეის მატჩები ერთდროულად გადაიცემოდა და დამთავრებამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე მექსიკელთათვის არასახარბიელო ანგარიშები კიაფობდა ტაბლოებზე. ისინი ჯგუფის ლიდერ ჰოლანდიასთან 1:2 აგებდნენ, ხოლო „წითელი ეშმაკებისა“ და კორეელების შეხვედრაში 1:1 იყო. ასეთი შედეგით ორივე თამაშის დასრულება მექსიკელებს სრულიად აძლევდა ხელს, მაგრამ ბელგიელებს ხომ ყოველ წუთში შეეძლოთ გადამწყვეტი ბურთის გატანა და მაშინ...თუმცა ერთგული ქომაგების გულები ლუის ერნანდესმა დაამშვიდა, როცა მატჩის სულ ბოლო წუთზე სტამს დაასწრო, მცველის დასახმარებლად წინ გამოსული ვან დერ სარიც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და ანგარიში გაათანაბრა.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა ამ დროს მექსიკაში. სიხარულისგან გონდაკარგული მილიონობით ფანი ქუჩებში გამოიჭრა. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და გამარჯვებას ულოცავდნენ. ყველაზე მეტი სამუშაო ადგილობრივი ბარებისა და რესტორნების მფლობელებს ჰქონდათ. ისინი დილამდე ვერ აუდიოდნენ მოქეიფე გულშემატკივრების მომსახურებას. ნაციონალურმა შეძახილმა, „ჩვენ მტერის დამარცხება შეგვიძლია“,რომელსაც მექსიკელთა წინაპრები ომების დროს გაჰყვიროდნენ ხოლმე, ხუთშაბათ საღამოს ოდნავ იცვალა და „ჩვენ ამის გაკეთება შევძელით“ — გამონათქვამად იქცა. ათიათასობით ეროვნული გუნდის მწვანე მაისურებში გამოწყობილი ქომაგი მეხიკოს ცენტრში შეიყარა. ისინი მექსიკური დროშებით ხელში პოპულარულ ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ და გუნდს შემდგომი წარმატებებისკენ მოუწოდებდნენ.

ცენტრალური პუებლას შტატში მდებარე ერთ-ერთი ეკლესიის მღვდელი ხოსე გუადალუპე ერნანდესი არანაკლებ გახარებული ჩანდა. მან პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, რომ თამაშის დროს სალოცავად გავიდა და მექსიკის ყველაზე სასწაულმოქმედ ხატს გუნდისთვის 0:2 ჩამორჩენის გაბათილებაში დახმარება შესთხოვა.

— ჰოლანდიელები მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გვიტევდნენ და ორი გოლის გატანაც მოახერხეს. შესვენებაზე ოთახიდან გავედი და გუადელუპეს ქალწულს ვთხოვე, ჩვენს გუნდს მოწყალების თვალით გადმოხედე-მეთქი. მანაც ისმინა ჩემი ვედრება და როგორც თავად ნახეთ, მექსიკელებმა ანგარიშის გათანაბრება შესძლეს. განსაკუთრებით დიდი სიხარული მეორე გოლმა მომიტანა. თამაშის დამთავრებას ხომ აღარაფერი უკლდა და მეგონა, იმ დღეს წაგებას ვერ გადავურჩებოდით, მაგრამ ლოცვამ გვიშველა და კიდევ ერთი საპასუხო გოლის შეგდება შევძელით — ერნანდესი ღრმადაა დარწმუნებული, რომ გუნდის წარმატება უფლის წყალობაა და თურმე მომავალი თამაშებისთვისაც საგანგებო რიტუალის ჩატარებას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ მღვდელმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე დღიდან ეკლესიაში დიდი ტელევიზორი დადგა, სადაც ყოველდღიურად სალოცავად მისულ მრევლს შეუძლია ფეხბურთს უყუროს. ჰოლანდიელების წინააღმდეგ გამართული შეხვედრის მსვლელობისას ერნანდესი და მისი მიმდევრები პატარა იესოს სტატუის გვერდით ისხდნენ, რომელსაც მათი საყვარელი გუნდის უმთავრეს მფარველად მიიჩნევენ. მლოცველებს ნაკრებისადმი ერთგულება მატჩის ბოლო წუთზე დაუფასდათ, როდესაც „მატადორად“ წოდებულმა ლუის ერნანდესმა მეორე ბურთი შეაგდო და მექსიკა მერვედფინალში გაიყვანა.

29 ივნისს მექსიკის ნაკრებს მერვედფინალური შეხვედრა ელის გერმანიის უძლიერეს ნაკრებთან. ამერიკელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად სათანადოდ მოამზადონ, თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ერნესტო ზედილიომაც გამონახა დრო და მექსიკის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დარეკა, რათა მოთამაშეები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან მატჩის წინ გაემხნევებინა. მან გუნდის ვარსკვლავებს ლუის ერნანდესსა და რიკარდო პელაესს ასეთი რამ უთხრა:

— ოცდაცხრაში მთელი მექსიკა თქვენს იმედზე იქნება და უდიდესი სენსაციის მოლოდინში მოუსხდება ტელემიმღებებს. ამიტომ გთხოვთ, არაფერი დაიშუროთ გამარჯვებისთვის, რადგან ჩვენ ყველას გვჯერა, რომ მექსიკას გრანდების დამარცხება ძალუძს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჯგუფიდან გასვლით გამოწვეული სიხარული, ადვილი შესაძლებელია, ტრაგედიაში გადაზრდილიყო. მეხიკოს ერთ-ერთ ცენტრალურ მოედან „პასო დე ლა რეფორმაზე“ ათიათასობით გაშმაგებული ფანი შეიკრიბა, რომელთა შორის მთვრალი ხულიგნებიც ერივნენ. სწორედ გალეშილი გარეწრები შეიქნენ იმ არეულობის მიზეზი, რომელსაც დიდი შეტაკებები მოჰყვა. ქალაქის პოლიციას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მოჩხუბრები როგორმე დაეშოშმინებინა და მექსიკელთათვის ერთ-ერთი უძვირფასესი ძეგლის დაზიანება თავიდან აეცილებინა. საუბარია მონუმენტზე, რომელსაც „დამოუკიდებლობის ანგელოზი“ ჰქვია. ამ ძეგლს საფრთხე 1986 და 1994 წლებშიც დაემუქრა. მაშინაც ამის მიზეზი მსოფლიოს ჩემპიონატებიდან მექსიკის გამოთიშვით გაგულისებული ფანები იყვნენ.

**ირაკლი ხმელიძე**

### სიმპსონს წყალი შეუდგა

**ამერიკის** ნაკრებმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან ცუდად იასპარეზა, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელ სტივ სიმპსონს, შესაძლოა, თანამდებობის დაკარგვად დაუჯდეს. არადა, ბოლო წლებში ამ ნაკრების მიერ გამართული მატჩების სიას თვალს თუ გადავავლებთ, ცხადი გახდება, რომ საფრანგეთში მათი სუსტი გამოსვლა ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც კი იყო. ოთხი წლის წინ მსოფლიოს უპირველეს ტურნირზე ამერიკელებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და მხოლოდ მერვედფინალში დამარცხდნენ, ისიც ვისთან — თავად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიელებთან. თუმცა, როგორც ამ ზაფხულს მათმა თამაშმა დაგვარწმუნა, აშშ-ის ნაკრებს ჯერაც არ მიუღწევია იმ დონისთვის, მსოფლიოს გრანდებში სრულფასოვნად რომ გაერიოს.

— იგი უდავოდ პროფესიონალი მწვრთნელია, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთში გაუთავებელ ექსპერიმენტებს აწყობდა, რამაც საბოლოოდ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. ყოველივე ამან სიმპსონის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი წამოჭრა, რომელსაც ერთ თვეში კვირის განმავლობაში განვიხილავთ — განაცხადა აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალან როტენბერგმა.

**ფიფამ დაასახელა ის მსაჯები, რომლებიც მერვედფინალურ მატჩებს მოემსახურებიან**

27 ივნისი

**ბრაზილია — ჩილე**

მარკ ბატა, საფრანგეთი

**იტალია — ნორვეგია**

ბერნდ ჰაინემანი, გერმანია

28 ივნისი

**ნიგერია — დანია**

ხოსე მარია გარსია არანდა, ესპანეთი

**საფრანგეთი — პარაგვაი**

ალი მოჰამედ ბუჯსაიმი, საამიროები

# გერმანელები დამშვიდდნენ



ბერტი ფოგტსი წყნარად არის. მექსიკელებთან შეხვედრისთვის მოსამზადებლად დრო საკმაოდ აქვს

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ გერმანიის ნაკრები საკმაოდ იოლ ჯგუფში მოხვდა და მხოლოდ იუგოსლავიელებთან მოუწევდა ოფლისღვრა. ეს ასეც მოხდა, ბალკანელებთან ტურნირის სამგზის გამარჯვებულებს მართლაც მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდათ და რომ არა მათი ხასიათის სიმტკიცე, ალბათ, დამარცხდებოდნენ კიდეც. რაც შეეხება ჯგუფს, პროგნოზი, რომ იგი ადვილი იქნებოდა, მცდარი აღმოჩნდა. კი, გერმანელებმა ირანსაც და ამერიკასაც 2:0 მოუგეს, მაგრამ იმ გამარჯვებებს იოლს ნამდვილად ვერ დაარქმევ. განსაკუთრებით რთული ჯგუფის მესამე მატჩი იყო ირანის ნაკრებთან, სადაც დამარცხებული შინ უნდა გამგზავრებულიყო. თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც ევროპის 1996 წლის ჩემპიონატებმა იმარჯვეს, ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ და მერვედფინალში მექსიკის საკმაოდ სიმპათიურ გუნდს დაეჯახნენ. გერმანელებს ყველაფერში დისციპლინა უყვართ და ახლაც, მომავალ მატჩზე ფიქრისას ისინი წარსულ შეცდომებს იხსენებენ. „ვფიქრობ, იუგოსლავიელებთან ნათამაშევი საწყისი ერთი საათი ჩვენთვის სერიოზული გაკვეთილი იყო. ასეთი შეცდომების დაშვება პლეი ოფის სისტემის მატჩებში არაფრის დიდებით აღარ შეიძლება, რადგან ეს ძვირად დაგვიჯდება. ნელ-ნელა მდგომარეობა უმჯობესდება და თამაშის დონეც მაღლდება. გერმანელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, ჩვენ ყველას დამარცხება ძალგვიძს“ — აცხადებს ნაკრების გამოცდილი ფორვარდი იურგენ კლინსმანი.

მშვიდად არის გერმანელთა თავკაცი ბერტი ფოგტსიც, რომელმაც ჯგუფური ტურნირის განმავლობაში არაერთი ექსპერიმეტი გამოიყენა. მისი თქმით, სიახლეებმა გაამართლა და გუნდის ძირითადი ბირთვიც ნელ-ნელა გამოიკვეთა: „ყოველთვის უნდა ეცადო, რომ ნაკრების თამაშებში რაც შეიძლება მეტმა ფეხბურთელმა მიიღოს მონაწილეობა, რათა საბოლოოდ გაირკვეს, ვის რა შეუძლია. მართალია, ჩემს გუნდში ამჟამად ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბიჭები ნელ-ნელა უმატებენ. ირანელებთან მატჩიც ამის დასტურია. ძალიან რთული მერვედფინალი მოგველის — მექსიკელები მშვენივრად ასპარეზობენ, თუმცა ეს არ მაღელვებს, მთავარია, ჩვენ ვითამაშოთ სათანადოდ“ — აღნიშნა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ფოგტსმა.

როგორც გაირკვა, გერმანელებს ძალიან გახარებიათ, რომ ჰოლანდიის ნაკრებს არ ხვდებიან. ეს გუნდი მათთვის ყოველთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება სატელევიზიო ინტერვიუში ანდრეას კიოპკემ: „სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს. იუგოსლავიასთან მატჩის შემდეგ ვაღიარეთ, რომ თამაში არ გამოგვივიდა და დაშვებული შეცდომები ირანელებთან გამოვასწორეთ. ახლა უკვე მერვედფინალზე ვფიქრობთ. ძალიან მიხარია, ჰოლანდიელებს რომ არ ვხვდებით“.

მოკლედ, გერმანიის ნაკრები ძალებს იკრებს და გადამწყვეტი თამაშებისთვის გულმოდგინედ ემზადება. მსოფლიოს ჩემპიონატების ამ ეტაპზე იგი განსაკუთრებით საშიშია, რადგან უდიდესი გამოცდილება და მტკიცე ნერვები გააჩნია. ფოგტსისა და მისი შეგირდების მისამართით კრიტიკამაც იკლო, რაც მათ მშვიდად მომზადებაში კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ისე, მექსიკის დარ ტექნიკურ გუნდებთან გერმანელებს ყოველთვის უჭირდათ თამაში. გავიხსენოთ თუნდაც 1986 წელი, როდესაც ამ ორი ნაკრების მეოთხედფინალური მატჩი ფრედ 0:0 დარსულდა და მომავალმა ფინალისტებმა მხოლოდ პენალტებით მოიგეს. თუმცა, ეს 12 წლის წინ იყო. რა მოხდება ახლა, ამას 29 ივნისს შევიტყობთ.

**დავით ქოვზირიძე**



გიო ახვლედიანის




# ინდიელთა დესანტი

როდესაც სამხრეთამერიკულ ფეხბურთზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, ჩვეულებრივ, ბრაზილიელებს და არგენტინელებს გაიხსენებენ ხოლმე. მთელს იქეთა კონტინენტს მსოფლიო ჩემპიონატებზე ეს ორი გუნდი წარმოადგენს სახელოვნად და ორივე ერთად ექვსჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მავანი გულანთებული ტრფიალი გაიხსენებს ურუგვაის გუნდსაც, რომელიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ყოფილა და უაღრესად დრამატული მატჩიც უთამაშია 48 წლის წინათ „მარაკანას" სტადიონზე.

თუმცა, ურუგვაული ფეხბურთი ცალკეულ ვარსკვლავთა წარმოეჩენის ადგილად იქცა და კარგახანია ამ ქვეყნის ნაკრების მთავარ სამახსოვრო საბუთად მისი დამარცხებები რჩება. იყო დიდი ფეხბურთელი ენცო ფრანჩესკოლი, მანამდე იყვნენ დიადნი, რომელთაც „დიდ ურუგვაელებს" ეძახდნენ. დღეს იტალიურ კლუბებში შეხვდებით საუცხოო ურუგვაელ მოთამაშეებს, მაგრამ ურუგვაული ფეხბურთი კარგახანია არ ჩანს მსოფლიო ჩემპიონატებზე და რომც გამოჩნდება ხოლმე, ვერაფერს აღწევს.

ამათ შემდეგ დაასახელებენ კოლუმბიის ნაკრებს. ეს, ალბათ, ქვეყნის ხასიათის ბრალი თუა, ან კიდევ იმის, რომ კოლუმბიელი მოთამაშეები მეტად ეგზოტიკური იერისა არიან. ასპრილია და ვალდერამა სწორედ ის ხალხია, ვისაც თანამედროვე საგაზეთო ენაზე „ნიუსმეიკერს" ეძახიან ხოლმე. ანუ, ეს ის ხალხია, რომელთა ამბავიც ფართო მასებს აინტერესებს.

მე კიდევ, თუ მკითხავთ, დღეს ლათინური ამერიკიდან სხვები უფრო არიან სახსენებელნი, ვიდრე ურუგვაელები და კოლუმბიელები. საერთოდ, მგონია, რომ ამ ჩემპიონატზე თუკი რამ ხდება (ბევრი რამ ხდება და კიდევ მეტს ველით) ერთ-ერთი ისიცაა, რომ მსოფლიოსთვის სამხრეთამერიკული ფეხბურთის ახალი ფენომენი იბადება. რა თქმა უნდა, ბრაზილიელებსა და არგენტინელებს არ ვგულისხმობ. არც კოლუმბიელებს. ლაპარაკია, ასე ვთქვათ, მეორე ეშელონზე, იმ სამ გამორჩეულ გუნდზე, რომლებიც მერვედფინალში მოხვდნენ.

პარაგვაელებისა და ჩილელების მხარდამხარ მექსიკელებიც უნდა ვახსენოთ. მექსიკა ცენტრალური ამერიკაა, მაგრამ მაინც ბუნებრივად შეერწყმის ამ ჯგუფს. ჯერ ერთი, რომ „კოპა ამერიკას" საზღვრები უკვე გაფართოვებულია და მექსიკის ფეხბურთიც ბუნებრივად ერწყმის სამხრეთულს. მეორეც, ამ სამეულიდან მექსიკის გამოცალკევება ნამდვილად ხელოვნური იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გუნდები იმდენად ჰგვანან ერთმანეთს სტილით, სატურნირო მდგომარეობით და სულით, რომ, რომ არა გამორჩეულ მოთამაშეთა ყოფნა მათ რიგებში და განსხვავებული სამოსი, მათ ძნელად გაარჩევდი.

პარაგვაის, ჩილეს და მექსიკის გუნდებმა სულ ჩაატარეს ცხრა შეხვედრა. და ამ ცხრა შეხვედრიდან შვიდი ფრედ დაასრულეს. მათ არ წაუგიათ არცერთი თამაში და მოიგეს ორადორი.

სამივენი გავიდნენ მერვედფინალში.

მექსიკის ნაკრები სამჯერ აგებდა თამაშს. აქედან ორჯერ 0:2, ერთხელ 0:1-ს. ეს უკანასკნელი (კორეასთან) 3:1 მოიგო დანარჩენ ორში კი ორ-ორი გოლი გაიტანა და ფრეებს მიაღწია. პარაგვაის ნაკრებმა გაუშვა, ერთადერთი გოლი და 3:1 მოუგო ნიგერიელებს, რომლებსაც აღარაფერში სჭირდებოდათ ერთი ქულაც კი. მანამდე პარაგვაელები 0:0 ეთამაშნენ ბულგარელებს და ესპანელებს. ჩილეს ნაკრებმა სამივე შეხვედრა ფრედ დაასრულა. იტალიელებთან თავიდან აგებდა, მაგრამ მერე იგებდა. ასევე იგებდა ჩილეს გუნდი დარჩენილ ორ შეხვედრას, თუმცა ორივე ფრედ დაუმთავრეს.

ეს თავისებური და თვალში საცემი სტატისტიკაა — უნარი თანამედროვე თამაშისა და ბრძოლისა, სახეზეა.

ევროპას ვერ გააკვირვებ მეორე ეშელონის მებრძოლი და კვალიფიციური გუნდებით. ბოლოსდაბოლოს ნორვეგია აქ არ გვყავს? მაგრამ სამხრეთამერიკელებს ამ მხრივაც მეტად გამორჩეული გუნდები მოუმზადებიათ მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ამ გუნდების საერთო თვისებებს უნდა მივაკუთვნოთ ის, რომ ყოველ მათგანს, ძველი ყაიდის გუნდების დარად ჰყავს ლიდერი. არა გამთამაშებელი, ან მაინცდამაინც ვარსკვლავი, არამედ სწორედ რომ ლიდერი. რომელიც არცთუ მაინცდამაინც გონებით წამყვანი ლიდერია, არამედ ქცევითა და იერით. მოკლედ, სახელი. პარაგვაელთაგან ეს კაცი ჩილავერტია, ჩილელთაგან სამორანო, მექსიკელთაგან ლუის ერნანდესი. აქვეა საუცხოო ფეხბურთელთა მთელი წყებაც, რომელთა ჩამოთვლაც მთელ გვერდს ნამდვილად არ წაიღებდა, მაგრამ ღირსეული სია კი გამოვიდოდა. ჩილეს გუნდს საუცხოო მეგოლე მარსელო სალასიც კი გააჩნია. ასე რომ, ამ გუნდებს ჰყავთ ფეხბურთელები, რომლებსაც ნაღდი თანამედროვე თამაში ხელეწიფებათ. იგივე მექსიკელი კვატემოკ ბლანკო, ან პარაგვაელი მიგელ ბენიტესი, დიდ გუნდებშიაც ღირსეულად დაიჭერდნენ პოზიციებს.

სამივე გუნდს სისხლში აქვს ნამდვილი ფეხბურთი. სამივე გუნდს სამხრეთამერიკელი მწვრთნელი ჰყავს და სამივე მწვრთნელი ლაპუენტეც, კარპეჯიანიცა და ჰკოსტაც, ერთი სკოლაა და თითქმის ერთი თაობა. მათი ფეხბურთი გასაოცრად გამართულია. უფრო სწორად, მეორე კატეგორიის ლათინურ გუნდებს ხელეწიფებათ თავიანთი საფეხბურთო სულის ხორცშესხმა. ეს კი პატარა ამბავი არ გახლავთ. შინაგანი ძალა რეალიზებულია, რასაც ეს გუნდები ადრე დიდად ვერ ახერხებდნენ. არა, მათგან გვახსოვს რიგი ღირსეული გამოვლენებისა წარსულ ჩემპიონატებში, მაგრამ ამას ტენდენციის, ასეთი ერთიანი ფრონტის, ფრეებით გამარჯვების ტაქტიკის ამგვარად ხორცშესხმის სახე არ ჰქონია.

ისევ ვიმეორებ, ამ სამ გუნდს არ წაუგია. თანაც — ჩილეს არ წაუგია იტალიასთან, პარაგვაის — „სიკვდილის ჯგუფში", მექსიკას კი — ჰოლანდიასთან.

რომელს აირჩევდით ამ სამი გუნდიდან?

მე ავირჩევდი პარაგვაის.

მგონია, რომ ეს ყველაზე ძლიერი გუნდია ამ სამს შორის. დაწვრილებით კი, ამ გუნდის თამაშში ყველაზე ნაკლებია შემთხვევითობის ფაქტორი. ყველაზე ნაკლებია შეცდომა. ამ სამთაგან პარაგვაის ნაკრებს ყველაზე უკეთ ხელეწიფება მოწინააღმდეგის თამაშის ჩაშლაც და საკუთარი თამაშის ჩვენებაც. პარაგვაელთა უიღბლობა ეგებ ისიც იყოს, რომ მათ გუნდში არ არის სა-სა და მე თუ მკითხავთ, არც გარსია ასპე, ან ვინმე რიკარდო პელაესის დარი შემცვლელი აწყენდათ. მათდაგვარი შინაგანი ძალა არც მექსიკელებს აქვთ და არც ჩილელებს, უბრალოდ ჩილე თავისი ორი ვარსკვლავით არის წინ.

სამივე გუნდი მეორე ადგილოსანია და სამივეს ურთულესი მოწინააღმდეგე ერგო.

ჩილელები ბრაზილიელებს ხვდებიან, მექსიკელები — გერმანელებს, პარაგვაელები — ფრანგებს. როგორც იტყვიან, ფავორიტები ცნობილია. მერვედფინალები ყოველთვის გამოირჩევა ამით. მაგრამ საინტერესოც ესაა — შეძლებს კი, ფრეთა ტრიუმვირატის რომელიმე გუნდი რვა უძლიერესს შორის გაძრომას?

კლასიკური სქემით ეს შეუძლებელია.

თუკი ამ გუნდების ნაკლზე ვილაპარაკებთ, მაინც ის უნდა გავიხსენოთ, რომ მათ ფეხბურთელთა ოსტატობა მაინც სპეციფიურად სამხრეთამერიკულია და საერთაშორისო მდინარეში ეს აშკარადაც ჩანს. ნაჩვევ ტაქტიკას გადაჩვევა, ან დასახული, შეგნებული გზიდან გადახვევა ასეთ გუნდებს უჭირთ. ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას კენტტაქტიკიანი გუნდებია და ნოვაციებთან შეგუება, თანაც გზადაგზა უჭირთ.

ხომ უყურებთ? ერნან დარიო გომესი ამბობს, კოლუმბიის ნაკრების თამაში უფრო პრაგმატული გავხადეო. ვერ გახადა. ეტყობა უნდოდა, მაგრამ კოლუმბია სხვა რამესაა დაჩვეული.

პარაგვაელები და ჩილელები კი იმას თამაშობენ, რაც არსებობისათვის ბრძოლამ უკარნახათ. ათწლეულების განმავლობაში მათ გოლიათებთან უწევდათ ბრძოლა — ბრაზილიასთან, არგენტინასთან, ურუგვაისთან. გადარჩენას დაცვითი თამაში კარნახობდათ. ჰოდა, შედეგიც სახეზეა. ისინი თავს იცავენ და რაც მთავარია აღარ არიან უძლურნი. დაცვა სიფრთხილედ კი არა, პროფესიად იქცა. და ისინი აღარ აგებენ. უფრო სწორად, მათი დამარცხება ჭირს. თუ წამოეგე გაგჭედავენ.

იმ სამ მერვედფინალსა და სამ უპირობო ფავორიტზე რომ ვლაპარაკობდი, სწორედ ამას ვგულისხმობდი. არცთუ საამოა, როცა კლასიკურ მოყაიმეებს ეთამაშები ისეთ შეხვედრას, რომლის ბოლოსაც პენალტის ნიშნული ჩანს.

აი, ეს სხვა არაფერი.

პატარა ინდიელთა ერთიანი ფრონტი.


ხარობს მეორე ეშელონი, არცთუ ტყუილად


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

### მერვედფინალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27 ივნისის | | | | |
| იტალია — ნორვეგია | (1,15-4,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ბრაზილია — ჩილე | (1,05-7,5) | 1,2 | 4,7 | 10,0 |
| 28 ივნისი | | | | |
| საფრანგეთი — პარაგვაი | (1,05-7,5) | 1,15 | 5,3 | 12,0 |
| ნიგერია — დანია | (1,5-2,0) | 2,0 | 3,0 | 3,3 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

INTERTOTO CUP

ინტერტოტოს თასის გათამაშების საპასუხო მატჩების კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „იმერიონის" შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ირანელები გვემუქრებიან

დასაწყისი პირველ გვერდზე

განა არსებობს რაიმე ძალა ან მოვლენა, პარიზისა და პარიზელების გაოცება რომ შეძლოს? ისეთი რამ, ქალაქი დინამიური და სისხლსავსე რიტმიდან რომ ამოაგდოს? რით გააკვირვებთ ფრანგებს, რომელთა ისტორია მწვავესიუჟეტიანი საინტერესო დეტექტივივით იკითხება, ქვეყანას, რომელსაც ხელისუფლების ყველა ფორმა გამოუვლია, ჰყოლია სახელოვანი მეფეები, იმპერატორები, პრეზიდენტები, საამაყო ეროვნული გმირები, გააჩნია დიდებული არქიტექტურა, მხატვრობა, მწერლობა, დასაკვეხნი მეცნიერული მიღწევები... ქვეყანა, რომელიც ტერიტორიითა და მოსახლეობით საშუალო დონისაა, მაგრამ შედის მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ხუთეულში; ქვეყანა, სადაც თანაარსებობს ოთხი კლიმატი, ქვეყანა, რომელიც აჭრელებულია ყველა ჯურის და ეროვნების, ყველა კონტინენტის წარმომადგენლებით... ქვეყანა, რომელიც არც სპორტში ყოფილა ოდესმე ჯაბანი. და ამ ყოველივეს სული და გული მაინც პარიზია, „სადაც იშვა თითქმის ყველა ძირითადი იდეა, წარმოითქვა განსაკუთრებულად საჭირო სიტყვები და შეიქმნა საუკეთესო წიგნები" — ეს სიტყვები ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან ჟიროდუსია.

პარიზს საუკუნეების მანძილზე ერთი უმთავრესი ფუნქციაც აკისრია — გააოცნოს მისი სტუმარი, პირდაღებული და თვალგაშტერებული არბენინოს ქუჩიდან ქუჩაში, სასახლიდან სასახლეში, ბაღიდან ბაღში, მოედნიდან მოედანზე, მუზეუმიდან მუზეუმში, თეატრიდან თეატრში, ბარიდან ბარში, რესტორნიდან რესტორანში ან კიდევ მავანნი — სენ დენიდან პიგალზე და უკან.

განა ძნელია, რომ ეს მისია იკისროს ქალაქმა, რომელსაც აქვს ეიფელის კოშკი, ლუვრი და ვერსალი, ელისეს მინდვრები და ტრიუმფალური თაღი, პარიზის ღვთისმშობლისა და სენ დენის ტაძრები, ბულონის ტყე და მონმარტრი, პარიზის ოპერა და მუზიკ-ჰოლი „ოლიმპია", ევროდისნეილენდი და დევანსი — ეგრეთ წოდებული ამერიკა სენაზე, პრესტიჟული და ელიტარული „ლიდო" და ტრადიციული იმიჯის მქონე „მულენ-რუჟი", დიდებული სამზარეულო, განთქმული ღვინოები და მაღალი მოდა, მთელი ქსელი ფეშენებლური და ხელმისაწვდომფასიანი მაღაზიებისა... და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. და ბოლო საოცრება — სტადიონი „საფრანგეთი".

მოკლედ, პარიზი — ეს ცალკე სამყაროა. გავიხსენოთ ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: „პარიზი მიდის თავისი გზით, საფრანგეთი კი იძულებულია ფეხდაფეხ მიჰყვეს, თუმცა ეს მას, რაღა თქმა უნდა, აღიზიანებს."

იქნებ ნაადრევი დასკვნაა, მაგრამ ორდღიანი დაკვირვებით მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყოვლისშემძლე ფეხბურთმაც კი, რომელიც, როგორც ამბობენ, თავად სპორტზე მაღლა დგას, ვერ შეძლო პარიზის რიტმისა და სახის შეცვლა. ქალაქი მაინც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ფეხბურთმა მხოლოდ ერთი თვით შეავსო პარიზის სასიცოცხლო არტერია, დამატებითი ინტრიგა შესძინა მას.

დადიხართ პარიზის ქუჩებში, მოგზაურობთ პარიზის მეტროთი და თვალში არ გხვდებათ სხვა ქვეყნებისთვის ასეთი მასშტაბის შეჯიბრების ჩატარებისას დამახასიათებელი პლაკატები, რეკლამები, ფოტოები და ა.შ. მახსენდება 1994 წლის ვაშინგტონი და ნიუ იორკი, სადაც ყველაფერი გადაჭრელებული იყო, ღამით ყველაფერი ციმციმებდა, დარბოდა საგანგებო ეკრანზე და, მართალი გითხრათ, აშკარად მომაბეზრებელი გახლდათ. ისე, ამერიკელებს ეპატიებათ, არც ვაშინგტონია პარიზი და არც ამერიკული ფეხბურთია ფრანგებისნაირი.

პარიზის ხელმძღვანელობის და მისი მერის ჟაკ ტიბერის პოზიცია თავიდანვე ასეთი იყო — „ჩვენ უფლება არ გვაქვს პარიზის განუმეორებელ არქიტექტურას რაიმე შტრიხი დავუმატოთ, თუნდაც ფეხბურთის მიზეზით. ეს არ სჭირდება არც ფეხბურთს, არც პარიზს."

არც პარიზის 370-სადგურიან და 15-მიმართულებიან მეტროშია რაიმე განსაკუთრებული ჩემპიონატთან დაკავშირებით. ეს კია, რამდენადმე რომ დააკმაყოფილონ იმ ოთხი მილიონი მგზავრის ინტერესი, რომელიც ყოველდღიურად სარგებლობს მეტროთი, ყველა ჩასასვლელ-ამოსასვლელში, გადასასვლელებზე დამონტაჟებულია ტელეეკრანები და წამიერად შეყოვნებული მგზავრი იგებს მისთვის საინტერესო ამა თუ იმ თამაშის შედეგს.

რადგან მეტროზე ჩამოვარდა სიტყვა, ვიტყვი, რომ პარიზისა მეტროსთვის უცხო ფუნქციასაც კისრულობს ხოლმე — ყოველღამე „მასპინძლობს" სამიათასამდე უსახლკაროს... დღისით კი, ჩვენი, თბილისის მეტროსი არ იყოს, ბევრია მათხოვარი ბავშვიც და ქალიც, მოხუციც და ახალგაზრდაც, ლოთიც და ნარკომანიც.

...მეც შევერიე საღამოს პარიზის დამთვალიერებელთა რიგს და გეზი მეტროს სადგურ ოტელ დე ვილისკენ ავიღე. ეს ხომ პარიზის მერიის მოედანია. აქ ერთმანეთის გვერდითაა ლუვრიც, ბასტილიაც, ოპერაც... ულამაზესი მოედანი გადაკეტილია რკინის საგანგებო სადგამებით და მხოლოდ 2-3 ადგილიდან შეგიძლიათ შეუერთდეთ მოედანზე მდგომ, მწოლიარე თუ მჯდომ ათასობით ფეხბურთის გულშემატკივარს. შიგ შეხვალთ მხოლოდ მაშინ, თუ გაივლით პოლიციელთა შემოწმებას. მათი რაოდენობა ძალზე ბევრია. ბევრია სასწრაფო დახმარების მანქანაც.

ამ ათასობით ფანის მზერა მიპყრობილია უზარმაზარი (6X6 მეტრზე მაინც) ტელეეკრანისკენ. გერმანია — ირანის მატჩის პირდაპირი ტრანსლაციაა. აქ, მოედანზე უდავო უპირატესობა ირანელთა მხარესაა. დროშებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით შეიარაღებული ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც. ძალზე ბევრი გოგონა და თითქმის ყველა მათგანი აუცილებელი თავსაფრის გარეშე, სიგარეტსაც კარგად აბოლებდნენ. მატჩის დაწყების წინ და პირველი ტაიმის შემდეგ იყო ერთი ცეკვა-თამაში, შეძახილები, დოლის ბრაგა-ბრუგი, სიმღერები. ეკრანზე ირანელთა ყველა ხეირიან გადაცემას, ფინტს, კარის მიმართულებით დარტყმას თუ მეკარის მიერ აღებულ ან მოგერიებულ ნებისმიერ ბურთს სდევდა აღტაცებული შეძახილები, ყიჟინა და ერთი ვაი-უშველებელი. მეორე ტაიმის დასაწყისში გერმანელთა ჯერ ერთი, მალე კი კლინსმანის მეორე ულამაზესი გოლის შემდეგ ირანელებმა ყოველგვარი ხმაურის ხალისი დაკარგეს.

პარიზის მერიის მოედანზე ყველაფერი კარგად დამთავრდა. გერმანელებიც და ირანელებიც კმაყოფილნი იყვნენ.

არა, არ შემშლია. ირანელები მართლაც კმაყოფილნი იყვნენ. ერთი რომ, გერმანელებს ღირსეულად ეთამაშნენ, პირველ ტაიმში ტოლიც კი არ დაუდეს და, რაც მთავარია, ტყუილად კი არ ეძახიან მათ ყველაზე ბედნიერ გუნდს.

ვიხსენებ ჩემს მივიწყებულ სპარსულს და ვუერთდები ირანელთა ერთ ჯგუფს, მატჩის შემდეგ მის პერიპეტიებზე რომ მსჯელობდა. შემდეგ ბარშიც გავაგრძელეთ საუბარი — ისინი წვენს წრუპავდნენ, მე კი ლუდს, თან ტელეეკრანზე თამაშის მომენტებს კიდევ ერთხელ ვადევნებდით თვალს (პარიზის ყველა ბარში და რესტორანში უამრავ ტელეეკრანსაც შეგიძლიათ უყუროთ და გემრიელადაც მიირთვათ). სამეულიდან ყველაზე რესპექტაბელური, ასე, ორმოციოდე წლის, აჰმედი გახლდათ, ის ყველაზე მეტად აქტიურობდა და ფეხბურთის და საერთოდ სპორტის საუცხოო ცოდნას ამჟღავნებდა. წარმოშობით შირაზიდან იყო და სორბონის დამთავრების შემდეგ პრესტიჟულ ინგლისურ ფირმაში მუშაობს. ფეხბურთი მისთვის ყველაფერია — მისით ცოცხლობს და მისით არსებობს.

— ჩვენ ციდან ჩამოფრენილნი არა ვართ, საკუთარი შესაძლებლობები ვიცით. ჩვენი დრო ჯერ არ დამდგარა. მაგრამ ირანელებმა უნდა ითამაშონ კარგი ფეხბურთი. თქვენ, გურჯები კარგად თამაშობთ, უნდა დაგეწიოთ და მერე გაგისწროთ.

— დიდი ზეიმი იყო ირანში არა? — ვეკითხები.

— იყო რომელია! ყველაფერს ამას ბევრი პოლიტიკას უკავშირებს. არც მთლად უმისობა იქნება, მაგრამ ამერიკელებთან გამარჯვებით ჩვენი ძალა ვირწმუნეთ. ეს გამარჯვება ყველას გვჭირდებოდა — ფეხბურთს, სპორტს, ქვეყანას, ხალხს, მილიონობით გადახვეწილ ირანელს. გამარჯვება ალაჰმა შეგვაძლებინა, ეს მისი გამარჯვებაა.

— დღევანდელ თამაშზე რას იტყვი?

— უნდა წაგვეგო და წავაგეთ. ეს არაა მთავარი. ვიოცნებოთ და, ვთქვათ, ჩვენები მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარიყვნენ, მაგრამ წინასწარ ეტაპზე წაეგოთ ამერიკასთან. მერწმუნეთ, ჩემპიონობას მაშინ ისეთი ელფერი არ ექნებოდა, მას რომ ეკადრება.

— ამას მართლა ამბობ?

— არა მარტო მე. ყველა ასე ვფიქრობთ. ჩვენმა ბიჭებმა ბევრი გააკეთეს. დღეს მათზე ბედნიერი ხალხი მსოფლიოში არაა.

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ ფეხბურთზე სპორტზეც, რომელსაც ირანში ბოლო ხანს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, პოლიტიკაზეც, ეკონომიკაზეც და გვიან ღამით წაგებული გუნდის ძალზე გახარებული ქომაგები შინისკენ გაემართნენ.



ინტერტოტო ქუთაისის „ტორპედო" ერევანშიც მოგებას აპირებს, სომხები კი, ცხადია, რევანშისთვის ემზადებიან

# რევანში ერევანში არ იქნება!

იუზა ძაციტაძე ერევნიდან

დღეს ერევანში „რაზდანის" სტადიონზე ინტერტოტოს გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ადგილობრივი „ერებუნი-ომენმენი" ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს.

როგორც იცით, წინა კვირას ქუთაისში გამართული მეტოქეთა პირველი შეხვედრა ტორპედოელთა საჭიროზე მეტად დამაჯერებელი გამარჯვებით 6:0 დასრულდა და ამ წყვილიდან ევროტურნირის შემდეგ სტადიაზე გასულის ვინაობა შეიძლება ცნობილადაც ჩავთვალოთ.

ექვსი ბურთი რომ ვინმეს გაებათილებინოს, ჯერ არ მომხდარა და რაღა ჩვენ გაგვწირავს ბედი.

წესია და ნუ ავჩქარდებით, აგერ სალამოც მოვა, გუნდები ერთხელაც შეებმებიან ერთმანეთს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

სომეხებმა იკითხონ, მტრისას, ისინი რომ დღეში არიან, „ტორპედოს" ამოცანა ასჯერ და ათასჯერ უფრო იოლია.

„ტორპედო" გუშინწინ შებინდებისას გამოემგზავრა ერევნისკენ გერმანული „სეტრას" მარკის ავტობუსით. 12 საათი ოღროჩოღრო გზებზე სიარული მომქანცველი გამოდგა გუნდისთვის.

სომხებთან პირველმა ნაცნობობამ მთლად წაგვიხდინა ხასიათი. კალინინის რაიონში გოგავანის საბაჟო პუნქტის მოხელეებმა საათნახევარი გვაყურყუტეს, სანამ გუნდს 120 ამერიკული დოლარი არ წაღლიტეს არაფრით მოეშვნენ — ერევნიდან მოწვევა არ გაქვთო. ფულის საშოვნელად იდგნენ და შარს ეძებდნენ.

კაცმა რომ თქვას, „ტორპედოს" გამო არც ერევანში მოუკლავს ვინმეს თავი. სასტუმრო „ერებუნიში" დაბინავება ისედაც იოლად მოხერხდა. ფული თქვი, თორემ რა ნომერი გინდა, რა ლუქსი, მომსახურება მართლა მაღალ დონეზეა.

მეტოქე გუნდის წარმომადგენელი თვალითაც არ გვინახავს... გუშინ საღამომდე არადა, გვაინტერესებდა, „ერებუნის" ამბები. დათო ჯანაშიამ კი იხუმრა, სომხებს პლასტიკური ოპერაციაც ვერ უშველითო, მაგრამ ცნობისმოყვარეობისა ხომ იცით, სხვა გზა არ გვქონდა, აქაური საფეხბურთო გაზეთები „ფუტბოლი" და „ფუტბოლ პლიუსი" მოვიძიეთ. მთლად არა, მაგრამ ცოტად მაინც დავიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. გავიგეთ, რომ ქუთაისიდან დაბრუნებულს 24 ივნისს „ერებუნის" ერევნის „არარატთან" ადრე გამოტოვებული სომხური ჩემპიონატის თამაში გაუმართავს და მცველ აშოთ ასატრიანის ერთადერთი გოლის სანაცვლოდ სამი მიუღია, 1:3 წაავგო. ამ მარცხმა ქუთაისელთა მეტოქე მესამედან მეოთხე ადგილზე დახია გათამაშების ცხრილში.

„ერებუნის" 16 თამაშიდან 25 ქულა დაუგროვდა. პირველ ადგილზე 42 ქულით გიუმრის „შირაქია", მეორეზე 39 ქულიანი „ცემენტი-არარატი", 27 ქულით მესამეზე „ერევანი".

„ერებუნის" ქუთაისში „ნავაჟკაცარს" დიდი პრესა არ ჰქონია, თუმც გესლიანი კრიტიკა არ დაჰკლებია. „ფუტბოლ პლიუსი" ამ ამბავს სომხური ფეხბურთის მორიგ სამარცხვინო ლაქას უწოდებს. გაზეთს იქვე მოჰყავს „ერებუნის" მთავარი მწვრთნელის არამ ფარსადანიანის სიტყვები, თითქოს ქუთაისში „ტორპედომ" კი არ ითამაშა ძლიერად, არამედ „ერებუნი" იყო ძალზე სუსტი და ერევანში მისი გუნდი რევანშის აღებას შეეცდება.

„ფუტბოლში" ქუთაისური მატჩის შესახებ საერთოდ არ დაწერილა. სამაგიეროდ, ამ გაზეთში გავეცანით სომხეთის ეროვნული ნაკრების კანდიდატთა 32-კაციან სიას. „ერებუნიდან" ამ სიაში ერთადერთი ფეხბურთელია. აბა, თუ მიხვდებით, ვინ?! რა თქმა უნდა, მეკარე. სწორედ ის არმენ ავაქიანი, შარშან საქართველო — სომხეთის თამაშში 7 გოლი რომ გაუშვა და რამდენიმე დღის წინ ქუთაისელთაგანაც რომ „დასაჩუქრდა" ექვსჯერ. სომეხთა ნაკრები 29 ივნისს საფრანგეთში შეკრებაზე მიემგზავრება.

სხვა რა გითხრათ, ერევანში ფეხბურთი მაინცდამაინც არ აინტერესებთ. ყველას თავისი პრობლემები აქვს, ჩვენი არ იყოს. დღევანდელ თამაშზე სტადიონზე მისვლით თავს ბევრი არ შეიწუხებს.

ჩვენებმა გუშინ მოსინჯეს „რაზდანის" გაზონი. ერთ საათს ივარჯიშეს და მათ კიდევ ერთხელ დასაზვერად „ერებუნის" მწვრთნელი არამ ფარსადინიანიც მოვიდა.

ტორპედოელები მზად არიან საბრძოლველად. ერევანში გუნდს თითმოტეხილი ჩხაიძე არ წამოჰყოლია, სამაგიეროდ „ტორპედოს" შეემატა კვიპროსზე ნათამაშევი გოდერძი ნატროშვილი.

გუშინ საღამოს სომხეთის დედაქალაქს ლონდონ — ერევნის პირდაპირი რეისით ჩრდილოირლანდიელი მსაჯებიც უნდა სწვეოდნენ. დილით კი უეფას დელეგატმა „რაზდანის" სტადიონის მატჩისთვის მზადყოფნა შეამოწმა და მერე გიუმრიში გაემგზავრა იქაური სტადიონის მისალებად.

დღევანდელი მატჩი აქაურად 18, თბილისის დროით კი 17 საათზე დაიწყება.



ჯანაშია და მეგრელაძე (№10) ვაჩიბერაძეს გოლს ულოცავენ. „რაზდანზეც" ასე გავინავარდებთ?

რუსთავი ორხელისუფლებიანობა გადავარდა, გუნდს ალადაშვილი გაწვრთნის

# რუსთავში წყალი დაიწმინდა

„რუსთავში" მორიგი ცვლილებებია. კლუბი დატოვა გუნდის პრეზიდენტმა გოგა ჟვანიამ. როგორც ჩანს, მან ვერ მიაღწია შეთანხმებას „Aiety TV"-ს სათაო ფირმის ხელმძღვანელობასთან. სწორედ ამ ამერიკული მხარის დახმარებით აპირებდა ბატონი გოგა „რუსთავში" ფინანსური პრობლემის მოგვარებას.

გუნდის პრეზიდენტად ვალერი ქოქიაშვილი დაინიშნა. მანამდე იგი კლუბ „გორდას" პრეზიდენტად მუშაობდა და ამავე დროს „რუსთავში" ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. რაც შეეხება მთავარი მწვრთნელის საკითხს, ამ თანამდებობაზე კვლავ იასონ ალადაშვილი გააგრძელებს მუშაობას.

როგორც იასონ ალადაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ფაქტობრივად გადაწყვეტილია „რუსთავში" ვალერი კილასონიას დაბრუნება.

კილასონიასდარი გამოცდილი ფეხბურთელის მხარდამხარ თამაში ახალგაზრდა რუსთაველთათვის კარგი სტიმული იქნება. თუმცა თუ ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდა ასეთი სტიმული ვერ იკმარებს.

ბაადა ძვანტალიანი

ოდიში ზუგდიდელები თავს უცხოურ კლუბებში გადასვლით შველიან

# კალანდაძე და ახვლედიანი ნიჟნიში

ჩვენში გახურებული სატრანსფერო სეზონია. ფეხბურთის ფედერაციასთან არაერთ ფეხბურთელს მოკრავთ თვალს. ესენი ფედერაციის საერთაშორისო განყოფილებისკენ მიიჩქარიან. ზოგი სატრანსფერო ფურცელს ელის, ზოგიც იქით აგზავნის.

საქართველოდან ფეხბურთელთა მიგრაცია არ წყდება, უმცირეს შანსს ხელიდან არ უშვებენ. ალბათ, მალე მხოლოდ მოზარდთა და მოხუცთა ცქერა მოგვიწევს.

ამ პროცესს დასასრული არ უჩანს. ალბათ, ვერც შეაჩერებენ, იმიტომ, რომ ჩვენებურ კლუბთა უმეტესობას ლუკმაპური ენატრება. ვისაც ორიოდ ლარი გააჩნდა, უყაირათოდ დაუხარჯავს და ახლა დაშლის პირზეა.

არ ვიცით, რას ფიქრობენ ზუგდიდელები, სინამდვილე კი მწარეა — მათი საყვარელი „ოდიში" ფეხბურთელებისგან იცლება.

ოდიშელთა კაპიტანი და გოლეადორი ჯუმბერ კალანდაძე თანაგუნდელ ბადრი ახვლედიანთან შეამხანაგდა და რუსთა პირველ ლიგას მიაშურა. ვერ გეტყვით, საიდან მოიძიეს ჩვენებურები ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა, მაგრამ შინ უსაქმოდ მსხდომ კალანდაძესა და ახვლედიანს მოწვევა რომ ჩამოუვიდათ, ფაქტია.

— რას ვკარგავდით, ჩავედით ნოვგოროდში. ჯერ გვავარჯიშეს, მერე კი ორმხრივ თამაშშიც გამოგვცადეს. მწვრთნელები სულ იმის მოლოდინში იყვნენ, არაქათგამოცლილები წუთი-წუთზე დაცვივდებიანო, მაგრამ თამაშის შემდეგ ყველაზე ცოცხლად გამოვიყურებოდით.

ბევრიც არ უფიქრიათ, კლუბში ჩაგვრიცხეს, თანაც თავი დაიზღვიეს, 4-თვიანი კონტრაქტები გაგვიფორმეს. კარგი ბიჭები კი ჩანხართ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, რა ვიცით, გუნდს როგორ შეეწყობითო. მოკლედ, ნოემბრის ბოლომდე ლოკომოტიველები ვართ. მერე კი ვნახოთ.

ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი" წინა ჩემპიონატში დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას. ახლა უკან მიბრუნება სწადია, რაშიც ჩვენებურთა დახმარების იმედიც აქვთ.

ისე, თავიდან ზუგდიდში ვლადიმერ ხაჩიძის ჩაყვანა ბევრს სახუმარო საქმედ მიაჩნდა. ამბობდნენ, ნანავამ „ოდიშში" ორხელისუფლებიანობა დაამკვიდრაო. თანაც ირონიულად დააყოლებდნენ, თუთბერიძე „ოდიშს" გაწვრთნის, ხოლო ხაჩიძე გასაყიდ ფეხბურთელებსო.

ხუმრობა იქით იყოს და კალანდაძე და ახვლედიანი ხაჩიძეს დიდად ემადლიერებიან. მაგან მოგვამზადა, ოფლს ჩვენთან ერთად ღვრიდა და ახლა „ლოკომოტივის" წევრები რომ ვართ, მისი დამსახურება გახლავთო.

ამაზე იტყვიან, მწვრთნელს ამაგი დაუფასდაო.

მამუკა ძვანტალიანი

# სიეტლმა ვლადიმერ სტეფანია აირჩია

**ვანკუვერში ოთხშაბათ ღამით გამართულ NBA-ს დრაფტზე ქართველთათვის მეტად მოულოდნელი და ამ დროს ძალიან გასახარი ამბავი მოხდა პირველივე წრეში 27-ე ნომრად საქართველოს ნაკრების წევრი ვლადიმერ სტეფანია აიყვანეს და იგი რომელიმე ისე რა გუნდში, ვთქვათ, დენვერში ან ტორონტოში კი არა, შარშანწინდელი პლეი ოფის ფინალისტ „სიეტლ სუპერსონიქსში" მოხვდა.**

„სონიქსის" ვიცე-პრეზიდენტმა საკალათბურთო ოპერაციებში ბილი მაკკინიმ ვოვა „ფინიქს სანზის" ყოფილ ვარსკვლავს ელვენ ადამსს შეადარა და თქვა, რომ სტეფანიას თამაში ამ სეზონში ხუთჯერ ნახა იევროპაში: „იგი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი კალათბურთელია, ვინც კი მინახავს — კარგად დარბის, თამაშს შესანიშნავად გრძნობს და მოედანზე სწორ გადაწყვეტილებებს იღებს."



ვლადიმერ სტეფანიამ (№6) ოცნება სინამდვილედ გვიქცია

სონიქსელების თქმით, მათ უკვირთ კიდეც, რომ სტეფანია აქამდე არავინ აიყვანა. მისი არჩევის მიზნით სიეტლმა პირველ წრეში არჩევაზე უარის თქმისა და ამით სამწლიანი კონტრაქტის გარანტირების თავიდან აცილების საშუალებაც კი არ გამოიყენა.

„სტეფანიას ასაყვანად მზად ვიყავით უფრო ადრეული არჩევის უფლებისთვისაც კი გვებრძოლა" — განაცხადა სონიქსელთა ახალმა მწვრთნელმა პოლ უესტფოლმა, რომელიც 1993-ში „ფინიქს სანზს" NBA-ს ფინალში გაუძღვა. თუმცა უესტფოლს მიაჩნია, რომ სტეფანია და სიეტლის კიდევ ორი არჩეული, რაშარდ ლუისი (32-ე) და ჯელანი მაკკოი (33-ე) ჯერ არ არიან ის მოთამაშეები, რომლებიც NBA-ს პირველივე სეზონში დაიპყრობენ. „რეალურად ვითარება ასეთია: ისინი ძალიან პერსპექტიულები არიან, მაგრამ ძირითადში მოსახვედრად დიდი შრომა მოუწევთ."

ამერიკელმა ჟურნალისტებმა სტეფანია ხუთშაბათ დილით ექვსის ნახევარზე მოიხელთეს და ახალი ამბავიც მაშინ შეატყობინეს. „წარმოდგენა არ მქონდა, თუ სიეტლი ჩემით იყო დაინტერესებული, მეგონა, ფინიქსი ამირჩევდა" — თქვა ვოვამ, რომელსაც სონიქსის მოთამაშეებიდან შარუნას მარჩულიონისი, შონ კემპი და დეტლეფ შრემპფი გაეგო (იმედია, გარი პეიტონი და ვინ ბეიკერი არ უწყენენ), თავად სიეტლზე კი ძირითადად ის იცოდა, რომ „იქ ბოინგის თვითმფრინავებს აკეთებენ". კითხვას, შეძლებს თუ არა გუნდის დახმარებას, ვოვამ ასე უპასუხა, ამჟამად არ ვარ დარწმუნებული, რომ გუნდს სადღეისოდ ბევრით წავადგები, NBA-სთვის ერთ-ორ წელიწადში უკეთ ვიქნები მომზადებულიო.

ასე რომ, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ სტეფანია ოკეანისგამოღმა დარჩეს და ლუბლიანის „ოლიმპიასთან" კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი დრო აქვე ჩაამთავროს, თუმცა ამიერიდან მასზე უფლება, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ სონიქსს აქვს.

**ავთანდილ სვანიძე**

## ლევან მოსეშვილი:
### სტეფანიას NBA-ში გადასვლა ძალიან გასახარია, ოღონდ ნაკრებს ამით დიდი პრობლემები შეექმნება

სიეტლის მიერ სტეფანიას არჩევის თაობაზე კომენტარი პირველს, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ლევან მოსეშვილს** ვთხოვეთ:

— ჩემთვის პირადად ეს ამბავი მოულოდნელი იყო. სტეფანიას შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნდა და უცებ– ფაქტი ძალიან გასახარია. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

**— რა გავლენას იქონიებს ეს ამბავი სტეფანიას სანაკრებო კარიერაზე?**

— ნაკრებს ამით დიდი პრობლემები შეექმნება — ვოვა ხომ ჩვენი გუნდის ლიდერთაგანია. მისი მონაწილეობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე, ფაქტობრივად, გამოირიცხა. თუ ჩვენ შევძლებთ და უსტეფანიოდ მოვიპოვებთ ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას, ვფიქრობ, ვოვაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შემოგვიერთდება. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და გადაჭრით ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან იმ კონტრაქტის პირობები, რომელიც სტეფანიამ „სიეტლ სუპერსონიქსთან" გააფორმა, ჩემთვის უცნობია.

## თამაზ ოქრუაშვილი:
### მჯერა, სტეფანია სიეტლშიც ივარგებს

ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსის" წევრად გახდომამ, ცხადია, დიდად გაახარა სტეფანიას ნიჭის დამფასებლები და უპირველესად **თამაზ ოქრუაშვილი**, რომელსაც ლომის წილი უძევს ვოვას კალათბურთელად ჩამოყალიბებაში:

— მე და ჩემი კოლეგა მერაბ ცირეკიძე ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ვუწინასწარმეტყველებდით ვოვას NBA-ში თამაშს, ამის საფუძველს მისი ნიჭი და საქმისადმი პროფესიული მიდგომა გვაძლევდა. გუშინწინ ღამით ამერიკაში საქართველოს ელჩი ბატონი თედო ჯაფარიძე დამიკავშირდა, მასთან სიეტლიდან დაურეკავთ და სტეფანიას შესახებ ყოველგვარი მონაცემები უთხოვიათ. შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილე მათი ინტერესი და უკვე დილით ბატონი თედოსგან სასიხარულო ამბავიც შევიტყვე.

**— შეიძლება ითქვას, რომ სტეფანია „სიეტლ სუპერსონიქსის" სრულუფლებიანი წევრია?**

— დრაფტში არჩევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას. ამერიკელები, როგორც წესი, ევროპელ კალათბურთელებს ამერიკულად წვრთნიან და მხოლოდ შემდეგ ანდობენ ადგილს ძირითადში. პირველ სეზონში სტეფანიას მხოლოდ ორი-სამი წუთით თუ ჩართავენ თამაშში, თანდათან შეაჩვევენ NBA-ს ატმოსფეროს. ასე იყო სლოვენიაშიც, ვოვა ჯერ „ოლიმპიას" ფარმ-კლუბში გამოდიოდა და მხოლოდ თავდაუზოგავი ვარჯიშის შემდეგ მოიპოვა ადგილი მთავარ გუნდში. მჯერა, ასევე იქნება სიეტლშიც. წელან დამავიწყდა და ახლა გეტყვით, სიეტლელები დაინტერესებულან, სტეფანია კუკოჩივით თუ შესძლებს თამაშსო. როგორც იცით, ხორვატი „ჩიკაგო ბულსის" შემადგენლობაში ჩემპიონი გახდა და ევროპელთაგან ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინცაა NBA-ში. ვფიქრობ, გარკვეული ხნის შემდეგ ვოვას სახელი კუკოჩივით პოპულარული იქნება ამერიკულ კალათბურთში.

**— სტეფანიას NBA-ში გადასვლით საქართველოს ნაკრები ულიდეროდ ხომ არ დაგვირჩა?**

— მაგის საშიშროება არსებობს. არა მგონია, „სიეტლ სუპერსონიქსის" პატრონებმა საკვალიფიკაციო მატჩების დროს გამოუშვან ვოვა საქართველოში. ოღონდ, თუ ჩვენი ნაკრები ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ფინალურ ეტაპზე გავა, სტეფანიასაც ხელს ვერავინ შეუშლის, თავისი ქვეყნის ღირსება დაიცვას.

**გიორგი ბიძაშვილი**
**სოსო ქოტორეიშვილი**



# ყელი თავად გამოიჭრა

**WIMBLEDON'98**

ხუთშაბათს ღამით უიმბლდონმა მაყურებელთა კიდევ ერთი ფავორიტი დაკარგა — ამჯერად ანდრე აგასი. ხოტორა ამერიკელი ტურნირზე როლან გაროსის პირველ წრეში მიღებული მხრის ტრავმითა და არცთუ სახარბიელო განთესვის ნომრით — 13-ით გამოცხადდა, თუმცა 20 წლის გერმანელ ტომი ჰაასთან მეორე წრის მატჩში მის გამარჯვებას ეჭვის ქვეშ ცოტა თუ დააყენებდა, იგი ხომ ანდრემ ორიოდ თვის წინ 6:1, 6:1 გაანადგურა. მაგრამ ამჯერად საქმე სხვანაირადა წარიმართა და ამაში თავად აგასის შეცდომებთან ერთად მსაჯებმაც დაიდეს წილი — მესამე ხელის ტაი-ბრეიკზე ამათ გერმანელს გვარიანად აცილებული ბურთი ჩაუთვალეს და ამერიკელი წყობიდან გამოიყვანეს. „ცხოვრებაში ასეთი რამ არ მინახავს. ბურთი სიგრძეშიც და სიგანეშიც 10 სანტიმეტრით მაინც იყო აუტში და კაცმა ვერ შენიშნა" — დაიჩივლა 6:4, 1:6, 6:7(4:7), 4:6 წაგებული მატჩის შემდეგ ანდრემ, თუმცა ისიც აღიარა, დღეს მოგებას ნაკლებად ვიმსახურებდიო.

ჰაასი ამ გამარჯვებას თურმე კარგა ხნის წინ, ჯერ კიდევ ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში მეტოქის დარტყმებზე ჯაშუშობით ამზადებდა: „კორტის კიდეში ვიჯექი-ხოლმე, მის თამაშს ვუყურებდი და ვცდილობდი, გამეგო, რას როგორ აკეთებდა. ხანდახან თუ წამეთამაშებოდა, ძალიან ბედნიერი ვიყავი, თითქმის ისევე, როგორც ახლა." აგასიმ კი, ყელი თურმე საკუთარი ხელით რომ გამოუჭრია (ამას კატისა და ხეზე ასვლის ამბავი არ ეცოდინებოდა), შური იმითღა იძია, რომ განაცხადა, ტომი ძალიან ნიჭიერი კია, მაგრამ მეეჭვება, დიდი სლემის ტურნირი როდესმე მოიგოსო.

აგასის წაგებით ოქროსსაყურიანი კაცების დროშა უიმბლდონზე საბოლოოდ არ დაშვებულა — ექსტრავაგანტულმა ჰ იშამ არაზიმ ასპარეზობას თვით როლან გაროსის ჩემპიონი, კარლოს მოია გამოთიშა 4:6, 6:4, 6:3, 6:4. მაროკოელი თავისი შესანიშნავი ბექჰენდით ყოველთვის მიწოდების სიმაღლეზე იდგა და, მატჩის შემდეგ საკუთარი თამაშის დაწუნების მიუხედავად, მაყურებლების აპლოდისმენტებსაც ხშირად იმსახურებდა. არაზი, რომელიც დიდი ნიჭისა და ყოვლად უდისციპლინო ხასიათის მქონე ჩოგბურთელად ითვლება, პრესკონფერენციაზე ყველას თავის გამოსწორებაში არწმუნებდა: „მართალია, რესტორნები, პაბები და წვეულებები ისევ მიყვარს, მაგრამ ახლა ახალი გელფრენდი მყავს და სასტუმროში დარჩენას და ტელევიზორის ცქერას ვამჯობინებ. ნახეთ, როგორ დაჩაგრა მსაჯმა მაროკოს ნაკრები?"

გაიმარჯვა მეორე წრეში ფეხბურთის კიდევ ერთმა დიდმა მოყვარულმა, გორან ივანიშევიჩმა, რომელიც ხორვატიის ნაკრების არგენტინასთან შეხვედრას თურმე ძალიან უფრთხოდა, მაგრამ ინგლისელებთან დაწყვილებას იმედის თვალით უყურებდა, თქვენ ძალიან ცუდი დაცვა გყავთო. წლეულს ერთობ ცუდად მოასპარეზე ივანიშევიჩმა უკრაინელი ანდრეი მედვედევი გააგდო 6:3, 7:6 (7:5), 4:6, 6:0, მძიმე დღეები წარსულის კუთვნილებად გამოაცხადა და ფეხბურთის გარდა ინგლისის ტელევიზიით 1992 წელს ანდრე აგასისთან წაგებული ფინალის ნახვაც აღიარა: „საკუთარი თავი მთელი ბოლო სეტის ცქერით დავსაჯე, იმედი მქონდა, მოვიგებმეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა... მატჩი იგივე შედეგით მორჩა."

ქალების მხარეს ამ დღეს ყურადღების ცენტრში უილიამსები მოექცნენ — სერენამ 16 წლიანთა დუელში, დიდი ბრძოლის იმედით ცენტრალურ კორტზე რომ გაემწესებინათ, ივანიშევიჩის თანამემამულე მირიანა ლუჩიჩი 49 წუთში 6:3, 6:0 გაანადგურა, ვინუსმა კი ავსტრიელ ბარბარა შეტთან თამაშისას მოწოდების მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ქალებისთვის — 125 მილი სათში (დაახლოებით 200 კმ-სთ), თუმცა მერე თავად გაიკვირვა, ასე სწრაფად მოწოდება ერთხელაც არ მიცდია და როგორ გამოვიდაო. მატჩიც, რაღა თქმა უნდა, ამერიკელმა მოიგო — 6:2, 6:1.

**მეორე წრე. კაცები: რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) — დინუ პესკარიუ (რუმინეთი) 6:1, 6:3, 6:2; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 3:6, 7:5, 6:3, 6:3; იონას ბიორკმანი (11, შვედეთი) — სტეფანო პესკოსოლიდო (იტალია) 4:6, 6:4, 6:4, 6:2; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:2, 5:7, 6:2, 1:6, 6:2**

**ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ელენა მაკაროვა (რუსეთი) 7:6 (7:2), 6:4; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:3, 4:6, 6:1; კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) — კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) 7:5, 7:5; კარა ბლექი (ზიმბაბვე) — პატი შნიდერი (13, შვეიცარია) 6:7 (3:7), 7:5, 6:3; ირინა სპირლეა (10, რუმინეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:4, 6:4**



ნატაშა ზვერევა

გუშინ ლონდონში თითქმის მთელი დღე ისევ წვიმდა და მესამე წრის დაგეგმილი მატჩებიდან თითო-ოროლას ჩათავება თუ მოხერხდა, მაგრამ ერთი მათგანის შედეგი უიმბლდონზე მეხივით გავარდა — შვიდგზის ჩემპიონმა შტეფი გრაფმა, რომელიც აქ მეოთხედ იყო განთესილი, ბელარუს ნატაშა ზვერევასთან წააგო — 4:6, 5:7.

გრაფისა და ზვერევას ცალკარა (აქამდე) პაექრობა დასაწყისს ჯერ კიდევ 1988-ში იღებს, როდესაც ბელარუსი როლან გაროსის ფინალში შტეფიმ 6:0, 6:0 გაანადგურა და მას აქეთ მაყოლებული 17 პირად შეხვედრაში სამად-სამი სეტი დაუთმო. „არ შემეკითხოთ, როგორ მოვახერხე მოგება, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მატჩი იყო. სათვალავიც კი არეული მაქვს, რამდენჯერ წამიგია მასთან — 15-ჯერ, 25-ჯერ. გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ" — განაცხადა ყველა დროის საუკეთესო მეწყვილედ შერაცხულმა ზვერევამ მატჩის შემდეგ — „გასახდელში ვერც კი დაიჯერეს, რომ თითოეული ქულისთვის კონცენტრირება მოვახერხე. გოგონებმა დამცინეს, რა მოგივიდა, ავად ხომ არ იყავიო."

**ავთანდილ სვანიძე**

შტეფი გრაფს ძველი თავის ტკივილის მოშორების შემდეგ ახალი უჩნდება: პოლიცია გულდასმით მეთვალყურეობს ეგვიპტელ ბიზნესმენს ელ საიედ ალის, რომელმაც გერმანელ ვარსკვლავს პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ კანფეტები შეაყარა. ექსპორტ-იმპორტის კომპანიის პატრონი ქაიროელი ამის შემდეგ ტურნირის დაცვამ კორტიდან მიაბრძანა, თუმცა რაკიღა დაპატიმრებისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა, მისთვის სხვა თამაშებზე დასწრების უფლებაც არ ჩამოურთმევიათ. „შტეფი ჩემი ცხოვრების სიყვარულია. მე უცოლო ვარ და მეუღლე არასოდეს მყოლია — სხვა ქალისთვის ჩემს ცხოვრებაში ადგილი არ არის" — განუცხადებია ტრფობის ალით დამწვარ ალის.

თავად გრაფმა ეგვიპტელის ნაცნობობა იუარა, მხოლოდ მაშინ ვნახე, კანფეტები რომ გადმოყარაო, თუმცა ალის ჩანთაში ბორის ბეკერისა და ტიმ ჰენმანის სიახლოვეს გადაღებული ფოტოების გარდა კარგა ბლომად შტეფისაც აღმოჩნდა.

* * *

პატრიკ რაფტერი თავის საუიმბლდონო ასპარეზობაზე მაინცდამაინც ოპტიმისტურად განწყობილი არ გახლდათ, ამიტომ ორიოდ კვირის წინ ტურნირის პერიოდში ლონდონში გასამართი ყველა როკ-კონცერტის ბილეთები შეიძინა. მაგრამ მას შემდეგ ავსტრალიელმა ბალახის ტურნირი მოიგო ჰოლანდიაში, უიმბლდონიც შესანიშნავად დაიწყო და იმდენად სერიოზული ამბიციები გაუჩნდა, რომ სამშაბათს ამერიკაში მეტად პოპულარულ, მაგრამ თბილისში რატომღაც ნაკლებად ცნობილ სუპერჯგუფ „დეივ მეთიუზ ბენდის" კონცერტზე დასწრება იუარა. თუმცა, თავად რაფტერის თქმით, ბობ დილანის მოსმენის ცდუნებას ნამდვილად ვეღარ გაუძლებს.

ავსტრალიელი, ალბათ, არ დაალალატებს თავის თანამემამულეს, უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონ პატ კეშსაც. პენსიაზე გასული ჩოგბურთელი თავის ჯგუფ — „ვულურ კოლონიელ ბიჭებთან" ერთად ჯონ მაკინროისა და ჯიმ კურიეს დახმარებით კორტების ახლომახლო ბარებში მღერის ხოლმე, თუმცა კონცერტების დაწყების დრო იმაზეა დამოკიდებული, კეში BBC-სთვის კომენტატორობისგან როდის მოიცლის.

* * *

როგორც ყოველთვის, ბრიტანული პრესა წლეულსაც თამაშზე არანაკლებ ადგილს უთმობს ჩოგბურთელების გარეგნობას.

ანდრე აგასის უიმბლდონურმა სამოსმა ათქულიანი სისტემით ორიანი დაიმსახურა. „მას ეცვა ფეხმძიმე ქალის პერანგის მსგავსი გრძელსახელოება მაისური, შორტები, რომლებიც რატომღაც კოჭებამდე დასთრევს და კეტბურთის კეპი, რომელიც უკან შეტრიალებული ეხურა თავზე" — ასე შეაფასა ტაიმსელმა საიმონ ბარნსმა აგასის სამოსელი — ასე ცოტა შიშველი ხორცი უიმბლდონის მაყურებლებისთვის არავის უჩვენებია ენ უაითის შემდეგ, რომელიც 1985-ში აქ შემოტმასნილი ლაბადით გამოცხდდა."



ანდრე აგასი

რაც შეეხება მოდის სხვა სიახლეებს, „დეილი მეილის" აღწერით, მონიკა სელეშს ე.წ. „ყველაფერს ვხედავ" კაბა აცვია, რომლის შიგნითაც თეთრი უმკლავებო მაისური აცვია. „ეს სენსაციურად გამოიყურება — ისეთი კაბაა, ამჟამად გოგოები ღამის კლუბებში რომ ატარებენ."

თუმცა უიმბლდონი მოდის სფეროში მაინც კონსერვატიული რჩება — ოლგა ბარაბანშიკოვას, რომელიც პირველი წრის მატჩზე ლურჯზოლიანი თეთრი მაისურით გამოცხადდა, უკან დაბრუნება და თეთრ სამოსში გამოწყობა აიძულეს, რასაც ჩოგბურთელი 15 წუთს მოუნდა. ბელარუსი არც შეხვედრის დროს დაინდეს — ხმამაღლა და გარკვევით ინგლისური shit-ის თქმისთვის 500 დოლარითაც დააჯარიმეს. ამ დალოცვილსაც ელანძღა და ეგონებინა მამაპაპურად, ვინ რას მიუხვდებოდა.

* * *

თუ ჯონ მაკინროის ვერწმუნებით, კიკინიანი მარსელო რიოსი ჩოგბურთისთვის მეტად საჭირო კაცია: „გულშემატკივრისთვის გაცილებით უფრო საინტერესოა ცუდი ბიჭის წინააღმდეგ განწყობა, ვიდრე ყველა ჩოგბურთელის ერთნაირი საქციელის ხილვა" — განაცხადა თავის დროზე რიოსზე არანაკლებ ხუშტურებიანმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა. ასევე ფიქრობს ჩოგბურთის კიდევ ერთი ყოფილი ცუდი ბიჭი, პატ კეშიც: „დღესდღეობით ამ სპორტს ძალიან ბევრი რობოტი თამაშობს." „სანდი ტელეგრაფში" გამოქვეყნებულ სტატიაში მაკინროი ჩვეულებისამებრ თანამედროვე ჩოგბურთის მთელ სისტემას გადასწვდა: „ამჟამად დიდი ჩოგბურთელების ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითები გეყოფა. ტური და კლასიფიკაციის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მასში ძალიან დიდი ფული ტრიალებს და მოტივაციაც თითქმის აღარავის შერჩა."

სამაგიეროდ, ქალთა ჩოგბურთში თინეიჯერთა მოზღვავებისა და ვეტერანებთან შეჯახების ხარჯზე ყველაფერი წესრიგშია. „ქალების ჩოგბურთი თავისი 100-წლიანი ისტორიის მანძილზე ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ყოფილა. ერთი მხრივ, სელეში, მარტინესი, სანჩესი, გრაფი, მეორე მხრივ კი ჰინგისი, უილიამსები, კურნიკოვა, ყველანი საუკეთესონი არიან. ეს არაჩვეულებრივია" — განაცხადა უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონმა ბილი ჯინ კინგმა.

## გოლები

4 — გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), კრისტიან ვიერი (იტალია)

3 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), ბებეტო (ბრაზილია), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი)

1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუაჰა (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი)

## ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

## წითელი ბარათები

**A ჯგუფი**

შოტლანდია — კრეიგ ბარლი

**B ჯგუფი**

კამერუნი — რაიმონდ კალა, რიგობერტ სონგი, ლავრიანო ეტამე

**C ჯგუფი**

დანია — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
ს. აფრიკა — ალფრედ პირი
საფრანგეთი — ზინედინ ზიდანი
საუდეთი — მუჰამედ ალ ხალაივი

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი

**E ჯგუფი**

კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი
ბელგია — გერტ ვერჰეინი
მექსიკა — პაველ პარდო, ხესუს რამირესი

**H ჯგუფი**

იამაიკა — დერილ პაუელი

## ყვითელი ბარათები

**A ჯგუფი**

ბრაზილია — სეზარ სამპაიო 2, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო
შოტლანდია — ჯეკსონი 2, დიური, გალაჰერი
მაროკო — ჩიბა 2, ჰადა, ჩიპო
ნორვეგია — ბერგი, რეკდალი, ლეონარდსენი, მიუკლენდი

**B ჯგუფი**

ჩილე — პარაგესი 2, როხასი 2, ვილიაროელი 2, აკუნია, სალასი, სამორანო, ესტაი, რამირესი
იტალია — დი ლივიო, კანავარო, კოსტაკურტა, დი ბიაჯო, მალდინი
ავსტრია — შოტელი 2, პფეფერი, ფაიენზინგერი, ვასტიჩი
კამერუნი — სონგი 2, იპუა, ვომე, ნჯანკა, ანგიბედო

**C ჯგუფი**

დანია — ვიგჰორსტი, რიპერი, ნილსენი, შიონბერგი, ჰოგი, შმაიხელი, კოლდინგი, ტოფტინგი
საფრანგეთი — პეტი, დეშამპი, ზიდანი, ბლანი, ლისარასუ, დიომედი, ვიეირა
საუდეთი — მუვალიდი, ალ ჯაჰანი, ალ ჯაბერი, ალ ივაირანი
ს. აფრიკა — რადებე 2, ჯეკსონი, ნიატი, ისა, პირი, ფორტუნი

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — სტოიჩკოვი, ივანოვი, ილიევი, კიშიშევი, პენევი, ბაჩევი
ესპანეთი — ამორი, ნადალი, კამპო, სერხი, კიკო, აგილერა, გერერო
პარაგვაი — ბენიტესი, აიალა, არსე
ნიგერია — ოკეჩუკვუ 2, ადეპოჟუ, იკპება, ოკოჩა, ეგუავონი, იროჰა

**E ჯგუფი**

მექსიკა — ორდიალესი, ასპე, რამირესი, ვილა, ერნანდესი, კარმონა, პელაესი
ბელგია — სტალენსი, დეფლენდრე, ვიდოვიჩი, ვიტალ ბორკელმანსი
კორეა — ჩოი იონგ სო, კო იონგ სო, ლი მინ სუნგი, კიმ ტაე იანგი, ლი ლიმ სენგი, ლი მინ სუნგი, კიმ ბიონგ ჯი
ჰოლანდია — სტამი, ნუმანი

**F ჯგუფი**

იუგოსლავია — პეტროვიჩი, სტოიკოვიჩი, სტანკოვიჩი, ოგნიენოვიჩი
გერმანია — იერემისი, ჰამანი, ჰაინრიხი, მათეუსი, კლინსმანი, ჰესლერი
აშშ — ჰეიდუკი, პოუპი, რეჯისი, რეინა
ირანი — მინავადი, ზარინშეჰი, დაეი

**G ჯგუფი**

ტუნისი — კლეიტონი 2, ბენ ინეში, გოდბენი, ბუაზიზი, ბეია, სუაჰა
რუმინეთი — ფილიპესკუ 2, მუნტეანუ, დან პეტრესკუ, ჰაჯი, გეორგ პოპესკუ, ჩობოტარიუ
ინგლისი — კემპბელი, სქოულზი, შირერი
კოლუმბია — სანტა 2, სერნა, არისტასაბალი, ბერმუდესი

**H ჯგუფი**

იაპონია — ნაკანიში 2, იჰარა, ჰირანო, ნანამი, აკიტა, იამაგუჩი
ხორვატია — სოლდო 2, სიმიჩი, პროსინეჩკი, სტანიჩი, ბილიჩი, ბობანი, იარნი
იამაიკა — ბარტონი, კერჯილი, მალკოლმი, დევისი
არგენტინა — შამოტი, ორტეგა, აიალა, ვივასი

# მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის სიმბოლური ნაკრები

## სარბიელის ვერსია




## იცით თუ არა, რომ...

...ირანელებთან მატჩში გატანილი მეორე ბურთი იურგენ კლინსმანისთვის მეათე სამსოფლიოსჩემპიონატო გოლი გამოდგა. ამ მაჩვენებლით იგი მეხუთე ადგილზეა ყველა დროის მეგოლეთა შორის.

* * *

...ასეთივე მაჩვენებელი აქვთ გერმანელ ჰელმუტ რანს, პერუელ თეოფილე კუბილასს, პოლონელ გჟეგოჟ ლატოს და ინგლისელ გარი ლინეკერს. უფრო მეტის გატანა მოახერხეს გერდ მიულერმა (გერმანია) — 14, ჟიუსტ ფონტენმა (საფრანგეთი) — 13, პელემ (ბრაზილია) — 12 და შანდორ კოჩიშმა (უნგრეთი) — 11.

* * *

...გერმანელთა ვეტერანმა ლოთარ მათეუსმა თავისი რეკორდი კიდევ უფრო გააუმჯობესა. ირანელებთან მატჩი მისთვის 23-ე გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ეროვნული გუნდის მაისური მათეუსმა პირველად 16 წლის და 7 დღის წინ მოირგო, 1982 წლის 20 ივნისს, როდესაც გერმანიის ნაკრებმა ჩილეს მოუგო 4:1.

* * *

...მათეუსი ნაკრებში თამაშის ხანგრძლივობით მხოლოდ მექსიკელებს — მეკარე ანტონიო კარბახალს (16 წელი და 25 დღე) და თავდამსხმელ უგო სანჩესს (16 წელი, 17 დღე) ჩამორჩება.

* * *

...სამხრეთკორეელთათვის გუშინწინდელი შეხვედრა მე-14 იყო მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სადაც მათ გამარჯვება ვერ მოახერხეს. ამ წაგების შემდეგ მათ გადაასწრეს მექსიკელებს (13 მატჩი მოუგებლად) და მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ ბულგარელთა შემდეგ, რომლებსაც 1962 წლიდან 1994-მდე 17 შეხვედრა დაემთავრებინათ მოუგებლად.

* * *

...ბელგიის ნაკრები მეშვიდე გუნდია მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, მას შემდეგ რაც ჯგუფში ოთხი გუნდი თამაშობს, რომელმაც ყველა ჯგუფური შეხვედრა ფრედ დაასრულა. ასეთივე მაჩვენებელი აქვთ: უელსს — 1958 წელს, ინგლისს — 1958, კამერუნს — 1982, იტალიას — 1982, ჰოლანდიას — 1990 და ჩილეს — 1998.

* * *

...ბელგიის ნაკრებისთვის კორეელებთან ნათამაშევი ფრე მეხუთე იყო მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სადაც მან გამარჯვება ვერ მოახერხა. ბოლოს ბელგიელებმა 1994 წელს, გახსნის მატჩში მოიგეს ჰოლანდიასთან 1:0.

* * *

...მექსიკელთათვის გუშინწინდელი შეხვედრა მეექვსე წაუგებელი მატჩი გახლდათ. 1994 წელს ბოლო სამ თამაშში მათ ერთი მოიგეს და ორი ფრედ დაასრულეს, ზუსტად ასეთივე შედეგი ჰქონდათ წლეულსაც.

* * *

...იუგოსლავიის ნაკრებმა ამერიკელებთან თავისი მეშვიდე წაუგებელი შეხვედრა ჩაატარა, 1990 წელს — ოთხი, ხოლო მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე — სამი.

## ენერგოსისტემა ბრაზილიაშიც „ურევს"

შუქის პრობლემა მარტო ქართველებს არ გვქონია, იგი თურმე ბრაზილიელებსაც აწუხებთ, მაგრამ თუ ჩვენ მხოლოდ ზამთარში ვგრძნობთ თავს ღამურებად, ბრაზილიაში ეს მთელი წელი გრძელდება. ალბათ, იმიტომ, რომ იქ ზამთარი არ იცის. მაგალითად, სან პაულუში დაიწყო თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ბრაზილიისა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის, ქალაქის უმეტეს ნაწილში სიბნელემ დაისადგურა. ასე გაგრძელდა თითქმის მთელი პირველი ტაიმი (შესვენებაზე შუქი სულ იყო) და მეორეს ნახევარი. იგივე განმეორდა 16 და 23 ივნისს, იმ დღეებში, როცა ქვეყნის ნაკრები კვლავ თამაშობდა. ბუნებრივია, ამან მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია და საკმაოდ სერიოზული არეულობების საფრთხეც შეიქმნა, მაგრამ იქაურ ენერგეტიკოსებს ხალხი დაუიმედებიათ, მერვედფინალიდან ასეთი რამ აღარ მოხდებაო. ბრაზილიელი ენერგეტიკოსებიც თუ ქართველებივით დაპირებებს იძლევიან, მაშინ სან პაულუში იმ თამაშის შესახებ მეორე დღეს გაზეთებში მოუწევთ წაკითხვა.

## მარგასი განითლებულა

ბევრი სპორტსმენი ცდილობს, კარგად ასპარეზობის გარდა კიდევ რაღაცით იყოს გამორჩეული. ექსცენტრიული ქცევა თუ გარეგნობის შეცვლა დღევანდელ სპორტულ ცხოვრებაში უკვე ჩვეულებრივ ამბად აღიქმება. ამათგან უმეტესობა სწორედ თავის (პირდაპირი გაგებით) გამოჩენას ლამობს. დენის როდმანი, ჟაკ ვილნევი, იბრაჰიმ ბა, ჰიდეტოში ნაკატა, აი, იმ სპორტსმენთა არასრული სია, ვისაც სარბიელზე არაბუნებრივი თმის ფერით გამოსვლა სჩვევია. მათ რიგებს დღეს, ალბათ, ჩილელი მცველი, ხავიერ მარგასიც შეუერთდება, რომელმაც გადაწყვიტა, ბრაზილიელების წინააღმდეგ წითელი თმებით იასპარეზოს: „რატომღაც მგონია, რომ ეს გამარჯვების მიღწევაში დამეხმარება და თუ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს მოვუგეთ, თმას კვლავ შევიღებავ, ოღონდ სხვა ფერად" — აცხადებს ჩილელი ფეხბურთელი. საინტერესოა, რა ფერებს მიანიჭებს მარგასი უპირატესობას იმ შემთხვევაში, თუ ჩილეს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ღმერთი ბჭობდა, კაცი იცინოდაო. მარგასი ორიგინალობას ცდილობდა და გუშინ მთელი რუმინეთის ნაკრები თავგადაყვითლებული არ გამგვეცხადა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29